ალია
50 თ
N69 2999/ 8 მაისი 2014 წ
PRESS ფასი 50 თ
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**„ქართული ოცნების“**

უდროოდ გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ამომრჩევლებს, თანამოაზრეებსა და გულშემატკივრებს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## რას უყვებიან „ალიას“ უსუფაშვილის და ვიცე-სპიკერების კაბინეტების უკანონო მოსმენებზე მანანა კობახიძე და ირაკლი სესიაშვილი



## ეკა ბესელია: „თუ ჩემი რწმენა და ვალდებულება ერთმანეთს დაეჯახება, წავალ თანამდებობიდანაც და არ გამიჭირდება უარის თქმა მანდატზეც“



## კულტურის სამინისტროდან „საყდრისის“ მხარდამჭერ თანამშრომლებს ათავისუფლებენ?



## რატომ არ იკადრა მარგველაშვილმა თურქეთის პრეზიდენტის დახვედრა



## ჟონდი ბაღათურია: „პარლამენტი და პრეზიდენტი ხალხმა ვინმეს ხათრით არ უნდა აირჩიოს“



## მამა დავით ისაკაძე: „პირდაპირ გეუბნებით, არავის მოწოდება საჭირო არაა. პირიქით, მრევლი თვითონ მოგვიწოდებს, რომ ქუჩაში გამოვიდეთ“



# კეზერაშვილს სულ ჰკიდია ბრალის დამძიმება-ამჩატება, მარსელში ყოფილა და პოლიტიკური თავშესაფრის გარეშეც გადასარევად ატრიალებს ბიზნესს

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მოქალაქეს სახელის შეცვლის უფლება მხოლოდ ერთხელ ექნება



საქართველოს მოქალაქე სახელის შეცვლას მხოლოდ ერთხელ – სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ შეძლებს.

იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო პაკეტის სიახლე ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმას უკავშირდება.

„ასეთი მოქნილი სამართლებრივი რეგულირება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოში პირის იდენტიფიცირება ხორციელდება მისი უნიკალური იდენტიფიკატორით – პირადი ნომრის საფუძველზე. თუმცა, ევროკავშირის რიგ ქვეყნებში პირის სახელისა და გვარის შეცვლა ექვემდებარება შეზღუდვებს, რადგან ამ ქვეყნებში პირის ძირითად საიდენტიფიკაციო მონაცემს წარმოადგენს სახელი და გვარი. შესაბამისად, ამ ქვეყნებში ჩასული მოქალაქეების იდენტიფიცირება ხორციელდება მათი გვარებისა და სახელების საფუძველზე, რადგან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს არ აქვს წვდომა საქართველოს მოქალაქეების პირად ნომერთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებთან, რაც ხელს უშლის საქართველოს მოქალაქის საზღვარზე შემოწმებისას მის სრულყოფილ იდენტიფიცირებას“, – განმარტავენ იუსტიციის სამინისტროში. (ნიუპოსტი)

## 9 მაისს უჩვეულოდ მაღალ ტემპერატურას პროგნოზირებენ



ჰიდრომეტეოროლოგიური კვლევის ცენტრის მონიტორინგისა და პროგნოზირების სამსახურის უფროსის, სვეტა ნიორაძის განცხადებით, 9 მაისს დასავლეთ საქართველოში მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდება – ჰაერი 30-35 გრადუსამდე გათბება. მისივე თქმით, თბილი ამინდები მომდევნო დღეებშიც შენარჩუნდება და ტემპერატურა 28 გრადუსამდე იქნება. ზოგადად, 17 მაისამდე კი არამდგრადი ამინდი შენარჩუნდება.

(ჯი.ეიჩ.ენი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

„ჩვენი მიზანია სამართლიანობის დამკვიდრება და ჩვენს თანამემამულეებში იმედისა და რწმენის გაჩენა“

(მართალია, ცესკომ „ნაცმოძრაობას“ არჩევნებზე 5-იანის გამოყენება აუკრძალა, მაგრამ ეს სასამართლოშია გასაჩივრებული და შეიძლება შეინარჩუნონ კიდეც)

ბიძინა ივანიშვილი 2011 წელი, 11 დეკემბერი

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უკრაინის საზღვართან რუსეთის ჯარის რიცხოვნობა არ შემცირებულა



რუსეთის პრეზიდენტის განცხადების მიუხედავად, უკრაინის საზღვართან რუსეთის ჯარის რიცხოვნობა არ შემცირებულა. „ლიგა.ნეტ“-ის ინფორმაციით, ამის შესახებ უკრაინის სამხედრო-პოლიტიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელმა დიმიტრი ტიმჩუკმა განაცხადა.

„ჩვენ არ დაგვიფიქსირებია რუსეთის ჯარის გაყვანა უკრაინა-რუსეთის საზღვრის გასწვრივ. ასევე, ბოლო კვირის განმავლობაში არ შეინიშნება ძალებისა და ქვედანაყოფების დამატება. რუსეთის ჯარის რაოდენობა 200-კილომეტრიან ზონაში უკრაინის აღმოსავლეთ საზღვართან კვლავაც 38 ათასს შეადგენს“, – აღნიშნა ტიმჩუკმა.

ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთმა უკრაინის საზღვრიდან საკუთარი ჯარები გაიყვანა.

„ჩვენი ჯარები დღეს დგას არა უკრაინის საზღვართან, არამედ იქ, სადაც რეგულარულ სწავლებებს ახორციელებენ – პოლიგონებზე. ეს დღეს არსებული დაზვერვის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით შეიძლება შემოწმდეს – კოსმოსიდან ყველაფერი ჩანს“, – აღნიშნა რუსეთის პირველმა პირმა. (ინტერპრესნიუსი)

## კახა კუკავა: აუცილებელია თანხების სწორად დახარჯვა



თბილისის საკრებულოში ადამიანის უფლებათა დაცვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის სხდომა გაიმართა.

კომისიის თავმჯდომარის, კახა კუკავას განცხადებით, სხდომაზე თბილისის 2014 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა და პროგრამის ფარგლებში თბილისის მერიაში წარდგენილი განცხადებები განიხილეს.

„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ ინიციატივით, დედაქალაქის ბიუჯეტში ათი მილიონი ლარი ჩაიდო.

როგორც კახა კუკავამ განაცხადა, აღნიშნული თანხა მეწარმეებისთვის მცირე მოცულობის სესხებს წარმოადგენს და ამ ეტაპზე მთავარი ამოცანა ამ თანხების სწორად დახარჯვაა.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, საქართველოში ადრეც არსებობდა ამ სახელწოდების ფონდები, მაგრამ შეღავათიან კრედიტებს იღებდნენ მხოლოდ მაღალი ფინანსური მდგომარეობის მქონე პირები და ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება.

კახა კუკავას თქმით, აუცილებელია, სესხები რეალურად მიიღონ იმ მცირე მეწარმეებმა, რომლებსაც უჭირთ ადაპტაცია არსებული საკრედიტო სისტემის პირობებში და ადამიანებს მიეცეთ შესაძლებლობა, გახსნან ავტოსამრეცხაოები, საცხობები და სხვა ისეთი ობიექტები, რომელიც შემდგომ რამდენიმე ადამიანს დაასაქმებს. (ინტერპრესნიუსი)

## 17 წლის გოგონამ გამოსამშვიდობებელი წერილი დატოვა და გაუჩინარდა



17 წლის გოგონას დეიდის, ციცინო საათაშვილის განცხადებით, მომხდარი შინაგან საქმეთა სამინისტროს დროულად აცნობეს, თუმცა პირველივე დღეებში ბავშვის მოძებნა ვერ მოხერხდა. გოგონას გაუჩინარებიდან ერთი კვირა გავიდა. გოგონა 15 წლიდან გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელშია დაოჯახებული. მას დედა არ ჰყავს და დეიდა მეურვეობს, რომელმაც დახმარებისთვის ადვოკატ ზაზა გიგაურის იურიდიულ ბიუროსაც მიმართა.

„როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, სახლიდან წასვლის წინ, გოგონამ წერილი დატოვა. ამჟამად, ამ წერილის ექსპერტიზის დასკვნას მოვითხოვთ, ნამდვილად მისი დაწერილია თუ არა. წერილის მიხედვით, გოგონა ემშვიდობება ყველას, დეიდას, მეუღლეს. წერილში ის მიზეზებია განმარტებული, რატომაც მიდის სახლიდან. როგორც ჩანს, გარკვეული პრობლემებია ბინის თაობაზე. ამ წერილში წერია, რომ თითქოს აღარ სჭირდება მას ის ბინა, რომელსაც ითხოვდა და ა.შ. ამ ეტაპზე მთავარია, ბავშვი ვიპოვოთ“, – აცხადებს ზაზა გიგაური.

ახლობლები ითხოვენ, რომ გოგონას შესახებ ძებნა შესაბამისმა ორგანოებმა ინტენსიურ რეჟიმში აწარმოონ. შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, რომ გოგონას დაკარგვის ფაქტზე პოლიციის განყოფილებისთვის ოჯახსა და ახლობლებს ამ დრომდე არ მიუმართავთ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ჩემს ოჯახზე ზეწოლა მას შემდეგ დაიწყო, რაც ალექსანდრე ჭიკაიძე გავაკრიტიკე“



იური ვაზაგაშვილი შს სამინისტროს გენინსპექციაში მისი შვილის – ჯაბა ვაზაგაშვილის უკანონოდ გაჩერებასა და ნარკოლოგიურში გადაყვანისთვის საჩივარს ამზადებს.

ვაზაგაშვილის განცხადებით, შემთხვევა 5 მაისს მოხდა, როდესაც მისი ოჯახი მანქანით ლანჩხუთში მიდიოდა.

მისი თქმით, პატრულის ეკიპაჟმა ჯაბა სიჩქარის გადაჭარბებისთვის გააჩერა, რაც, აბსურდია, რადგან ამ შემთხვევაში აუცილებლად დააჯარიმებდნენ.

პოლიციამ ჯაბა ვაზაგაშვილი ნარკოლოგიურში წაიყვანა, სადაც აღმოჩნდა, რომ ის „სუფთა“ იყო, ამის შემდეგ კი 2 საათში უკან დააბრუნა.

„აჩერებენ ჩემი შვილის მანქანას, ამოწმებენ, გადმოჰყავთ მანქანიდან. ამაში განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ შემდეგ მანქანაში ძალით ჩასვეს, ამ დროს ჩემი შვილიშვილი შეშინდა და კიოდა. არმისული ლანჩხუთამდე უკან, ქუთაისში დააბრუნეს. ეჭვი გვაქვს, რომ ეს არ იყო პატრული, ეს იყო კრიმინალური პოლიცია“, – განაცხადა ვაზაგაშვილმა, რომლის თქმითაც, მის ოჯახზე ზეწოლა მას შემდეგ დაიწყო, რაც მან შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე გააკრიტიკა.

ამ საკითხზე ბუტა რობაქიძის მამამ – სოსო რობაქიძემაც ისაუბრა და საქმის ობიექტური გამოძიება მოითხოვა. (ფრონტნიუსი)

## 4 შვილის დედა ბავშვთა სახლის აღმზრდელებს ძალადობაში ადანაშაულებს



4 შვილის დედა, მაია ილურიძე, ნინოწმინდის ობოლთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის აღმზრდელებს, მის მცირეწლოვან შვილებზე განხორციელებულ ძალადობაში ადანაშაულებს.

„ჩემმა შვილებმა რამდენიმე თვე დაჰყვეს ამ დაწესებულებაში. ბავშვის დასჯა შემდეგი მეთოდებით მიდიოდა – შიმშილი, ცემა. გაშიშვლებულ ბავშვს უშვებდა აბაზანაში, სადაც ჩამოსაჯდომიც არ იყო და ბავშვს უწევდა ძირს წოლა“, – აცხადებს ქალბატონი.

მისივე თქმით, მომხდარის მიუხედავად, არ მიუმართავს არც ერთი შესაბამისი უწყებისთვის, მაგრამ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციაში „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ განმარტავენ, ფაქტი აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო ჯანდაცვის სამინისტროს მონიტორინგის დასკვნაში.

მათივე თქმით, მსგავსი დარღვევები ბათუმის ბავშვთა სახლშიც ფიქსირდება. ორივე დაწესებულებაში ჯანდაცვის სამინისტრომ მონიტორინგი გასულ თვეში განახორციელა და დასკვნაც შეადგინა, მაგრამ, როგორც ორგანიზაციაში ფიქრობენ, დარღვევების შესახებ სამინისტრომ ინფორმაცია მიზანმიმართულად დამალა.

„სამწუხაროდ, ჯანდაცვის სამინისტროს ანგარიშში ჩვენ ვერ ვხედავთ ძალადობასთან დაკავშირებულ ეფექტურ მოკვლევას. ის, რაც მათ დღეს დადეს დასკვნის სახით, არ არის ობიექტური სურათი და არ შეესაბამება იმ რეალობას, რომლის შესახებაც სხვადასხვა წყაროებიდან გვაქვს ინფორმაცია“, – განაცხადა ორგანიზაციის თავმჯდომარე ანა აბაშიძემ.

აღნიშნულ ბრალდებას ჯანდაცვის სამინისტროში კატეგორიულად უარყოფენ, არასამთავრობო ორგანიზაციას კი სიცრუის ტირაჟირებაში ადანაშაულებენ.

როგორც სოციალური დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი კაკაჩიამ განაცხადა, მონიტორინგისას მცირე ბიუროკრატიული უზუსტობები გამოვლინდა, თუმცა მოკვლევის შემდეგ, არც ერთ ზემოაღნიშნულ მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში, ძალადობის ფაქტები არ დადასტურდა.

ძალადობის ფაქტებს ცილისწამება უწოდეს ნინოწმინდის ბავშვთა სახლის აღმზრდელებმაც და არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციები ეკლესიის წინააღმდეგ აგორებული კამპანიის ნაწილად შეაფასეს.

„შესაძლოა, ვინმეს პირადი ინტერესი აქვს, ან არ უნდათ, რომ პანსიონატი არ არსებობდეს და დაიხუროს“, – განაცხადა ბავშვთა სახლის დირექტორმა მზეო გოცაძემ.

დაახლოებით იგივე პოზიცია აქვთ საპატრიარქოშიც.

„ეს არის აბსოლუტური სიცრუე. ეს არ არის პირველი ეპიზოდი და რაღაც კამპანიურ სახეს იღებს. მიზანი კი, ალბათ, ტალახის სროლა და გარკვეულწილად საპატრიარქოს დაკნინებაა“, – განაცხადა პატრიარქის მრჩეველმა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებში იაგო კალანდაძემ.

ამ დროისთვის აღნიშნულ ბავშვთა სახლებში, სადაც 400-მდე მზრუნველობამოკლებული პატარა ცხოვრობს, ლიცენზირებისთვის მზადება მიმდინარეობს. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ევროკომისია საქართველოს 30 მილიონ ევროს გამოუყოფს




ევროკავშირის ინფორმაციით, ევროკომისია საქართველოსა და მოლდოვას დახმარების სახით დამატებით 60 მილიონ ევროს გამოუყოფს.

30 მილიონ ევროს – საქართველო, თანხის მეორე ნაწილს კი მოლდოვა მიიღებს.

დახმარების პაკეტი მიმართულია საჯარო ინსტიტუციების, მოქალაქეთა და ბიზნესის დასახმარებლად, რათა მათ ისარგებლონ იმ ბენეფიტებითა და შესაძლებლობებით, რასაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს, ევროკავშირის ბაზარზე წვდომის ჩათვლით.

„საქართველო და მოლდოვა ევროკავშირთან ურთიერთობების შეცვლის ერთგული რჩებიან, ერთობლივად გაზიარებული ფუნდამენტურ ფასეულობებზე დაყრდნობით. ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმება ამ ცვლილებებს შესაძლებელს გახდის და ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერების თვალსაზრისით ახალ პერსპექტივებს გახსნის. ჩვენი დახმარება კი ამ პროცესის აკომპანირებას მომავალშიც გააგრძელებს“, – განაცხადა ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ. (ინტერპრესნიუსი)

## ვლადიმერ პუტინმა ქართველებს მოსალოცი წერილი გამოუგზავნა



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ქართველ ხალხს და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ულოცავს.

„ძვირფასო ვეტერანებო! ძვირფასო საქართველოს მოქალაქეებო! გილოცავთ გამარჯვების 69-ე წლისთავს! ჩვენმა მამებმა და ბაბუებმა გმირულად დაიცვეს მშობლიური მიწა და საქართველოსა და რუსეთის საერთო ისტორიაში ურყევი გმირული გვერდი შექმნეს. მრავალსაუკუნოვანი კულტურული და სულიერი კავშირები, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ტრადიცია, ჩვენს ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის საწინდარია. ჩვენ გულწრფელად ვისწრაფვით, რათა რუსულ-ქართული კავშირები ნაყოფიერად განვითარდეს, ახალი საქმეებით, იდეებით, გეგმებით გამდიდრდეს. ამ საზეიმო დღეს სამამულო ომის ვეტერანებსა და საქართველოს ყველა მოქალაქეს ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და მშვიდობას ვუსურვებ“, – ნათქვამია ვლადიმერ პუტინის წერილში. (ინტერპრესნიუსი)

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირება იყო:
## „ერთად აღვადგინოთ სამართლიანობა“

5 41

2014 წლის 5 მაისს გაზეთების „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ რედაქციას უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა – „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური, თავგადაკლული მხარდამჭერის, ოთარ კობერიძის სასარგებლოდ 50 000 ლარის გადახდა დაგვეკისრა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი „ფრესკოს“ „აყროლებული ქათმის“ სტატია 6500 ლარი გვიჯდება.

მიშას მონა, სიმართლის მკვლელი მოსამართლეების დაწყებული თავხედური, უტიფარი, აღვირახსნილი უსამართლობის პროცესი „ქართულ ოცნებას“ სამართლიანობის აღდგენით უნდა დაემთავრებინა.

სწორედ ამიტომ ვიბრძოდით შეუპოვრად, თავგანწირვით, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ფასად, რომ ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის შემდგომ, ერთად აღგვედგინა სამართლიანობა.

სამწუხაროდ, სამართლიანობის აღდგენის ოცნება დაიმსხვრა, როგორც ამომრჩეველთა დიდი ნაწილისთვის, ასევე, დღეს უკვე ჩვენთვისაც.

ამიტომ, ყველას – უსამართლობით გამწარებულებს, იმედგაცრუებულებსა და ოცნებაწართმეულებს, მოგიწოდებთ – ერთად მოვიპოვოთ სამართალი:

1. ნუ მისცემთ ხმას „ნაცმოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“!!!
   არ შემოხაზოთ ციფრი 5 ან 41.
2. მხარი დავუჭიროთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნას!!!

გაზეთების „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“!!!



მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

**„ჩვენ დღეს ვიწყებთ, რათა ხვალ საქართველოსა და მთელი მისი მოსახლეობის მდგომარეობა შევცვალოთ უკეთესობისკენ, სამართლიანობისა და თანასწორობისკენ“.**

**ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი**

41

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...



# რატომ არ იკადრა მარგველაშვილმა თურქეთის პრეზიდენტის დახვედრა

რატომ არ იკადრა გიორგი მარგველაშვილმა, რომ თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს აეროპორტში დახვედროდა? იმიტომ, რომ მან „ატმასკა“ აუღო კოლეგებს. გაიხსენეთ, როცა ის თურქეთში ჩავიდა თავისი ამალით, ერთი ქალი (სოფო ჯაჯანაშვილი) თმებით ითრიეს ლიფტის წინ. აი, ამიტომ გაბრაზდა ჩვენი პრეზიდენტი და ამიტომაც გაგზავნა აეროპორტში აბდულა გიულის დასახვედრად თავისი ადმინისტრაციის უფროსი.

და მაინც, რისთვის ეწვივნენ თბილისს ასე დემონსტრაციულად თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები, რატომ „მოტეხეს“ ქართული სამიტიდან სომხეთი? სოსო ცინცაძის თქმით, ეს იყო დემარში ვლადიმერ პუტინის საყურადღებოდ:

„გარდა ამისა, საქართველო და აზერბაიჯანი ერთმანეთთან დაკავშირებულია ენერგეტიკით – ეს არის „შაჰდენიზი“, ეს არის „სამხრეთის ნაკადი“ და სხვა კომუნიკაციები, სატრანზიტო პოტენციალი და ასე შემდეგ. ეს შეხვედრები ინსპირირებული იყო პუტინის პოლიტიკის გამო. როგორც ვხედავთ, რუსეთი ეძებს ახალ ალტერნატივებს, აქ თურქეთისა და აზერბაიჯანის ადგილი სად იქნება? საქართველოც ამ ორი ქვეყნის პაკეტში განიხილება. დაუკვირდით, ამ შემთხვევაში ჩვენი რეგიონის ერთ-ერთი ქვეყანა საერთოდ იზოლირებულია, ეს არის სომხეთი. აშკარაა, აქ უკვე სომხეთი აღარავის სჭირდება, ეს ქვეყანა ველარ ჯდება ამ ახალ სიტუაციაში. წინა თვეში უნდა მოეწერათ სომხებს ხელი საბაჟო კავშირში შესვლის თაობაზე, მაგრამ გადადეს – არა, ჩვენ ჯერ პირობებზე გვაქვს მოლაპარაკებაო. მართალია, ხელმოწერა გადაიდო, მაგრამ ამ ქვეყნის მიმართ ნდობა აღარ არსებობს. არ შეიძლება, ერთი სახელმწიფო იყოს ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეც და რუსეთისაც“.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დარეკა ერეკლე კოდუამ — ეგ ნოშიკო მართლა ბარიგაა, ცოტა შეავიწროეთ და ფულსაც მოიტანსო!“



ბიზნესმენ თამაზ ელიზბარაშვილის შვილი გურამ ელიზბარაშვილი, რომელიც რამდენიმე წელი პატიმრობაში იმყოფებოდა, ნოშრევან ნამორაძის „რეზბალნიცაზე“ ყოფნის პერიოდს იხსენებს. ელიზბარაშვილი ნანუკა ჟორჟოლიანის განცხადებებსაც ეხმაურება. „სიმართლე რომ არ ვიცოდე, ახლა ამას არც დავწერდი, უკვე ყელში ამოვიდა ამათი სიბინძურეები. ვკითხულობდი ახლა ნანუკას პოსტებს და ინტერვიუებს და ნერვები მეშლება. სიმართლე კიდევ ასეთია. 2008 წელს ნოშიკო ნამორაძე ე.წ. „რეზბალნიცაზე“ მოიყვანეს.

ჩვენი მეუღლეები ბავშვობაში მეგობრობდნენ და სალომემ მთხოვა, ყურადღება მიმექცია ნოშიკოსთვის. იმ დღესვე ვნახე. როგორც თვითონ მომიყვა, ნარკოტიკი ჩამიდეს და ყველაფერს მართმევენო. ყველაზე საინტერესო მეორე დღეს მოხდა. ერთ-ერთ, ვითომ „ძველ ბიჭთან“, რომელსაც ადმინისტრაციისგან მობილურით სარგებლობის უფლება ჰქონდა, დარეკა ერეკლე კოდუამ! და რატომ, არ გაინტერესებთ? „ეგ ნოშიკო მართლა ბარიგაა და მანდ კარგად რატომ არისო, ცოტა შეავიწროეთ და ფულსაც მოიტანსო!!!“

ვინც ვერ ერკვევა ციხის სისტემაში, იმათთვის განმარტება-ბარიგა ციხეში ქურდული კანონების თანახმად, ასე რომ ვთქვათ, არ არის კარგი ტიპი და ციხეში კარგად ვერ უნდა გრძნობდეს თავს. ანუ კოდუას გეგმა იყო ნოშიკო პატიმრების მხრიდანაც შეევიწროებინა (რატომ? ძნელი მისახვედრი არაა). მაშინ, შემიძლია თამამად ვთქვა, მე ნოშიკოს მხარე დავიჭირე და ვერაფერიც ვერ უქნეს!!! ეს, რასაც შევესწარი, იმას ვწერ და კიდევ რაც მოხდა, უკვე იცით.

ამხელა ტექსტს არ დავწერდი, ნანუკას პოსტებზე ნერვები რომ არ მომშლოდა. მე ამ მთავრობის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მაგ ამბავში მაგრად იჭრებიან! ჩვენ თვითონ მივხედოთ „ნაციონალებს“??? – წერს გურამ ელიზბარაშვილი. (აიანიუსი)

# სპილენძიდან ოქრომდე

**— რა ასოციაცია გვიჩნდება პირველად ჩეხეთის გაგონებაზე?**

**— ჩეხეთზე? ლუდი!**

დიახ, ჩეხეთი განთქმულია ლუდით. ტერმინები „თხევადი პური“ და „თხევადი ოქრო“ ლუდის სინონიმებად გამოიყენება ყოველდღიურ ჩეხურ ლექსიკონში. სტატისტიკას თუ ვენდობით, ჩეხეთის მოქალაქე წელიწადში 150 ლიტრ ლუდს სვამს. ეს მსოფლიოს მასშტაბით რეკორდული მაჩვენებელია ქვეყნებს შორის. ლუდის დამზადების/ხარშვის და სმის კულტურა აქ საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა. ჩეხური ლუდის ბრენდებსაც კი საუკუნოვანი ტრადიცია აქვთ. მაგალითად, „კოზელი“ – ლუდის მოყვარულთათვის ცნობილია, რომ „კოზელი“ ჩეხური ლუდია, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ეს ბრენდი მსოფლიოში №1 ჩეხური ბრენდია გაყიდვების მიხედვით და მისი ისტორია 1874 წელს იწყება.

თუმცა, სანამ ფრანცისკე მესამე რინხოფერი ლუდის, ანუ „თხევადი ოქროს“ ბიზნესში ჩაებმებოდა, მისი ბაბუა, ფრანცისკე პირველი რინხოფერი ჩავიდა სოფელ ველკოპოპოვიცეში და სპილენძის საამქრო გახსნა. გადიოდა დრო, ფრანცისკე პირველის საქმიანობას ნაყოფი გამოჰქონდა და ის თანდათან აფართოებდა მოღვაწეობის სფეროებს. რინხოფერების გვარს უკავშირდება საავტომობილო ქარხნის – შკოდას ისტორიაც, მათვე ეკუთვნოდათ „სტირინის“ სასახლე პრაღის აღმოსავლეთით.

როდესაც ფრანცისკე მესამე რინხოფერს ადგილობრივმა სამღვდელო პირებმა* (* ევროპაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ბერები ხარშავდნენ ლუდს) სპილენძისგან ლუდის სახარში ქვაბის გაკეთება სთხოვეს, მან გადაწყვიტა, თვითონაც აეშენებინა ლუდსახარში. მართლაც, მისი ლუდი მალევე ძალიან პოპულარული გახდა. მიღებული შემოსავლით ფრანცისკემ გარშემო მიწები შეიძინა და წარმოება გააფართოვა. ამჟამად წარმოება ცამეტ-ნახევარ ჰექტარზეა გადაჭიმული. საინტერესო ფაქტია, რომ „კოზელის“ დამზადებისას გამოიყენება მხოლოდ ჩეხური ნედლეული.

1874 წლიდან ჩეხეთში ბევრი ლუდსახარში გაიხსნა, ეკონომიკისა და ბიზნესის უხილავმა ხელმა „აიძულა“ ლუდსახარშის მფლობელები, ლუდისთვის რაიმე განმასხვავებელი ემბლემა მოეფიქრებინათ და ამით გამოერჩიათ თავიანთი ლუდი სხვა ლუდებს შორის. ბედად, სწორედ ამ დროს სოფელს სტუმრობდა ფრანგი მხატვარი. მან გარკვეული დრო დაჰყო სოფელში. ადგილობრივების სტუმართ- და შრომისმოყვარეობით აღფრთოვანებულმა ლუდსახარშს საჩუქრად დაუხატა ლოგო – თხა. სწორედ ლოგოს შესაბამისად დაერქვა ბრენდს „კოზელი“ (ჩეხურად კოზელი თხას ნიშნავს), ხოლო დაბადების ადგილიდან გამომდინარე გემრიელ ბრენდს სახელი „გაურთულდა“ (გაუგრძელდა) და „ველკოპოპოვეცკი კოზელი“ დაერქვა, თუმცა ლუდის ჭეშმარიტი მოყვარულებისთვის ის უბრალოდ „კოზელია“.




თუ ოდესმე გადაწყვეტთ ლუდსახარშის დათვალიერებას, აუცილებლად ესტუმრეთ ოლდა XIV-ს. ოლდა თხაა, რომელიც ქარხანაში ცხოვრობს. ის ამჟამად რამდენიმე თვისაა, მარამ ქარხანაში სიცოცხლის ბოლომდე იცხოვრებს (შემდეგ მის საპატიო თანამდებობას მისივე მემკვიდრე დაიკავებს, ასე ხდება 1874 წლიდან) და სიამოვნებით იპოზიორებს თქვენი facebook-ის გვერდისთვის. ბრენდის სიმბოლოს ამ ლუდის პირველი მხარშავის სახელი დაერქვა.

ლუდის გარდა, რინხოფერები იარაღსაც აწარმოებდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებთან კავშირის გამო მათი ოჯახი ჩეხეთიდან გააძევეს. ამის შემდეგ ლუდსახარში სახალხო გახდა, ხოლო 2002 წელს მსოფლიოში №2 ლუდის მწარმოებელმა კომპანია SAB Miller-მა შეიძინა.

გამიკვირდა, რომ გავიგე, რინხოფერების შთამომავლებს ქარხნის დაბრუნება სიამაყის გამო არც უცდიათ, თუმცა ისინი ქარხანას შეძლებისდაგვარად სტუმრობენ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქარხანაში ღია კარის დღეა. ეს წელიწადში ორჯერ ხდება (გაზაფხულსა და ზაფხულში) და მაშინ ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეუძლია ქარხნის დათვალიერება.

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

„ჩვენი ოცნებაა, საქართველოში დაცული იყოს ადამიანის ყველა უფლება, აზრისა და სიტყვის თავისუფლება; სასამართლო იყოს სამართლიანი, მედია - დამოუკიდებელი, ბიზნესი - ხელშეუხებელი“.

ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...



# კეზერაშვილს სულ ჰკიდია ბრალის დამძიმება-ამჩატება, მარსელში ყოფილა და პოლიტიკური თავშესაფრის გარეშეც გადასარევად ატრიალებს ბიზნესს

თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის საქმეში ახალი ბრალი იკვეთება. საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებით, გამოძიებით დგინდება, რომ 2008 წლის 10 იანვარს კეზერაშვილმა გამოსცა ბრძანება ვირჯინიას კუნძულებზე დარეგისტრირებულ კომპანია „გირვუდ ბიზნეს გრუპ“-თან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ თანხების გაფლანგვის მიზნით. კეზერაშვილთან დანაშაულებრივ კავშირში ჩართული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი, ალექსანდრე ნინუა, რომელმაც კომპანიის გამოცდილებისა და შესაძლებლობების გადაუმოწმებლად 2008 წლის 10 იანვარს ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულ ზემოხსენებულ კომპანიასთან თავდაცვის სამინისტროს სახელით ხელშეკრულება გააფორმა გეგმიური საბრძოლო მომზადების შესახებ. ამ კომპანიაში გადაირიცხა 5 685 000 ევრო. ამ კომპანიას საქართველოში წარმომადგენლობა არ გააჩნდა. არ დაევალა საბანკო და სხვა გარანტიების წარმოდგენა. ირკვევა, რომ ხელშეკრულება იყო ფიქციური და დავით კეზერაშვილთან დაკავშირებულ კომპანიას სამხედრო ქვედანაყოფებში არანაირი სახის სასწავლო წვრთნები არ ჩაუტარებია. დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, ამ ფიქციური ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიას თავდაცვის სამინისტროდან ოფშორულ ზონაში არსებულ საბანკო ანგარიშზე ავანსად გადაერიცხა 2 330 937 ევრო. დარჩენილი თანხების გადარიცხვის მიზნით კი, თავდაცვის სამინისტროში ყალბი ანგარიში შედგა, თითქოსდა კომპანიის მიერ სამხედრო დანაყოფებში ჩატარებული წვრთნების შესახებ, რითაც ზემოხსენებულმა კომპანიამ საბანკო ანგარიშზე გადაირიცხა დამატებით 2 729 062.50 ევრო. მთლიანობაში კეზერაშვილმა და ნინუას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისე, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბრძოლო სწავლების კურსები არ ჩატარებულა, ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულ კომპანიის სასარგებლოდ გაფლანგეს 5 060 000 ევრო. ალექსანდრე ნინუასა და დავით კეზერაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული ითვალისწინებს 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას. შეგახსენებთ, რომ დავით კეზერაშვილი არის ძებნილი, მის მიმართ ინტერპოლის საშუალებით წარმოებს საერთაშორისო ძებნა, რის გამოც მას ბრალი დაუსწრებლად წარედგინა.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული, რომელთანაც იკვეთება კეზერაშვილის ინტერესი. მანამდე კი, იარაღით უკანონო ვაჭრობაში ეჭვმიტანილი თავდაცვის ექსმინისტრის ქეისში ამოტივტივდა ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების სახელი, სადაც კეზერაშვილს ჰქონდა ანგარიშები. კვლევა აწარმოა მსოფლიოში ცნობილმა აუდიტორულმა კომპანია „დელოიტმა“, მან მოიპოვა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ირკვეოდა, რომ 2009 წლიდან 2012 წლის ჩათვლით, სეიშელის კუნძულებზე კეზერაშვილს დარეგისტრირებული ჰქონდა კომპანია, რომლის ანგარიშზე კაპიტალბრუნვამ შეადგინა 1 მილიარდ-ნახევარი. პროკურატურის განცხადებიდან ირკვევა, რომ ოფშორულ ზონებში ფულის გადარიცხვით კეზერაშვილი ომამდე ყოფილა დაკავებული. როგორც ჩანს, გამოძიება ამით არ დასრულებულა და ჩვენ გავხდებით უამრავი სიურპრიზის თვითმხილველი.

საინტერესოა, სადამდე მივა გამოძიება, ვის ჩაიყოლებს კეზერაშვილის საქმე და რაც მთავარია, რა შედეგი ექნება კეზერაშვილის მიმართ საქართველოში წარმოებულ გამოძიებას? შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის სასამართლომ კეზერაშვილი საქართველოს არ გადმოსცა. ამდენად საინტერესოა, სამართლებრივად როგორ გაგრძელდება პროცესები და ხომ არ მოხდება ისე, რომ კეზერაშვილის საქმე დაუმარხავ მიცვალებულს დაემსგავსება.

**ვნახოთ, რას ფიქრობენ ექსპერტები, რა იურიდიულ შეფასებას აკეთებენ იურისტები ამ თემაზე?**

**ირაკლი ალადაშვილი, სამხედრო ექსპერტი:**



– ის, რომ არჩატარებული სწავლებისა და წვრთნების გამო ფული აიღო თავდაცვის მინისტრმა, მართლაც ნონსენსია, სიმართლე გითხრათ, ასეთი რამ არ გამიგია. მაგალითად, შევარდნაძის დროს, როცა იშვიათად, მაგრამ ტარდებოდა წვრთნები, ვიღაცა საწვავის ტალონს იპარავდა, მაგრამ ის, რომ ამხელა ფული ვინმეს „მოეტეხა“ და ამდენი მილიონი ევრო ვინმეს ჯიბეში ჩაედო, არ მსმენია. დასახელებულია თარიღი, რომ ეს ყველაფერი 2008 წლის დასაწყისში ხდებოდა, ანუ აგვისტოს ომამდე. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, ჩვენს მებრძოლებს რომ მიეღოთ მომზადება, შეიძლება ომშიც ეჩვენებინათ თავი. ეს არის ძალიან სერიოზული ბრალდება. ჩვენი ინფორმაციით, შესყიდვების სამსახურის უფროსის ალექსანდრე ნინუას გამოძიებას „ეფბიაი“ ხელმძღვანელობს.

**— ხომ არ გაქვთ ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით, რა არის მათი ინტერესი?**

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საარჩევნო კომისიის წევრებს შესაბამისი ხელფასის გამო სხვა კუთვნილი დაფინანსება არ შეუწყდება



საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, რომლებიც იღებენ პენსიას, კომპენსაციას ან სოციალურ პაკეტს, კომისიაში საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული ანაზღაურების გამო, პენსია, კომპენსაცია თუ სოციალური დაფინანსება არ შეუწყდებათ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ცვლილებები შედის „საარჩევნო კოდექსში“, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში და ასევე „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონში. ცვლილებების მიხედვით, იმ საქმიანობას, რომლებიც საჯარო საქმიანობად არ ითვლება, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში საქმიანობა ემატება. პარლამენტი შესაბამის ცვლილებებს დაჩქარებული წესით მიიღებს. (ნიუპოსტი)

## საწარმოები ვალების რესტრუქტურიზაციისას დროში აღარ შეიზღუდებიან



საგადასახადო და სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის, უიმედო სესხად აღიარების, ასევე მისი ჩამოწერის საქმეში საწარმოები დროში შეზღუდული აღარ იქნება.

უქმდება დათქმა, რომლის მიხედვითაც, დავალიანების რესტრუქტურიზაცია, ასევე უიმედო სესხად აღიარება, ჩამოწერა, პატიება, მესამე პირისთვის გადაკისრება, დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისთვის გარკვეული დისკონტით დათმობა მხოლოდ იმ საწარმოების მიმართ უნდა განხორციელებულიყო, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი განაცხადითა და დოკუმენტაციით 2017 წლის 1-ელ იანვრამდე მიმართავდნენ. შესაბამისად, საწარმოებს საშუალება ექნებათ, ასეთი განაცხადით უწყებას ნებისმიერ დროს მიმართონ.

ამ და სხვა ცვლილებებს „საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა.

პარლამენტში წარდგენილი პროექტის თანახმად, საწარმოს უფლება ექნება რესტრუქტურიზაციის რეჟიმში არაერთხელ მოექცეს. საწარმოს, თითოეული ვალდებულებისთვის, ცალ-ცალკე შეეძლება რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მოქცევა.

გარდა ამისა, სესხით მოსარგებლე საწარმო ვალდებული იქნება, რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მოსაქცევად აუცილებლად წარმოადგინოს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. ამ საკითხზე გამონაკლისის დაშვება მხოლოდ მთავრობას შეეძლება.

კანონში დაგეგმილი ცვლილებები ასევე ითვალისწინებს რესტრუქტურიზებული ვალდებულებების რეესტრის წარმოების აუცილებლობას, რაც დღეის მდგომარეობით არ არსებობს. (ინტერპრესნიუსი)

## „ნაციონალური მოძრაობა“ „რუსთავი 2“-ის საქმის შესასწავლად საპარლამენტო კომისიის შექმნას მოითხოვს



საპარლამენტო უმცირესობის წევრ ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო „გაორმაგებული და გაათმაგებული ძალისხმევით აგრძელებს“ მოსმენების მავნე პრაქტიკას.

„რუსთავი 2“-ის მოსმენა ცალსახად უკანონო ფაქტია, გარდა ამისა, ეს შეიძლება ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლისა და ზემოქმედების ფაქტადაც ჩაითვალოს. ვფიქრობ, რომ ეს რიგითი თანამდებობის პირების გადაწყვეტილება არ იქნებოდა. არსებობს ეჭვი, რომ სხვა ტელევიზიებშიც და პარლამენტშიც იყოს სათვალთვალო ფარული კამერები, რაზეც ბომბის შესახებ ერთი წლის წინანდელი მასობრივი ზარები მეტყველებს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ყველაფერი კარგად ორგანიზებული იყო. უმრავლესობა ამ უკანონო ფაქტის „გაპრავების“ ნაცვლად, დაინტერესებული უნდა იყოს ობიექტური გამოძიებით. ჩვენ მათ ვთავაზობთ შეიქმნას საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, იმიტომ რომ არსებულ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს არა აქვს საზოგადოების ნდობა“, – განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა.

აღნიშნულ მოთხოვნას არასერიოზულს უწოდებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია.

„ეს, მგონი, ღრმად არასერიოზული განცხადებაა, როდესაც არ იცი, რა უნდა მოითხოვო და ძალიან მიკვირს, გულწრფელად ვამბობ, მით უმეტეს, როდესაც „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ გამოძიება ძალიან სწრაფ ტემპში დაიწყო და ძალიან ეფექტურად მუშაობენ, ამ ვითარებაში ასეთი კონტექსტიდან ამოვარდნილი განცხადება არ ვიცი, რა არის. ლევან ბეჟაშვილს მინდა ვკითხო, ეს არის მარადიული სურვილი – საგამოძიებო კომისიებით შეგვახსენონ თავი, თუ არის ამაში რაიმე სამართლებრივი ლოგიკა. მე მესმის, საგამოძიებო კომისია შექმნილიყო მაშინ, როდესაც ადამიანების პირადი ცხოვრების შესახებ ათასობით ფაილი იქმნებოდა და როდესაც ეს ინფორმაცია ქვეყნდებოდა“, – აღნიშნა ეკა ბესელიამ. (ნიუპოსტი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

**„ხელისუფლებისათვის ჩვენ ყველა სხვაგვარად მოაზროვნეები, ქვეყნის მტრები და მოღალატეები გხდებით მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ ნაციონალურ მოძრაობას ან მის ლიდერს კი არ ვუპირისპირდებით, არამედ ვითხოვთ სამართლიან სასამართლოს, გამჭვირვალე საარჩევნო სიებს, თავისუფალ მედიას, ანუ უბრალოდ ვიცავთ ჩვენს კონსტიტუციურ უფლებებს. უფლებებს, რომლებმაც ჩვენ და ჩვენი სამშობლო ცივილიზებული სამყაროს ნაწილად უნდა აქციოს".**

**ბიძინა ივანიშვილი. 2011 წელი, 11 დეკემბერი**

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

*მეხუთე გვერდიდან*

– შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი თავდაცვის სამინისტროში ისეთი პოსტია, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება. ფაქტია, ამერიკის სპეცსამსახურები სწავლობენ იმ პერიოდს, როცა ხდებოდა იარაღის შესყიდვა, გაყიდვა, იმ საერთაშორისო ოპერაციებს, რომელშიც საქართველო და იმ პერიოდში მოღვაწე მაღალჩინოსნებიც იყვნენ გარეულები. ასე რომ, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. საინტერესოა კეზერაშვილისა და ნინუას პოზიცია ამ კონკრეტულ ბრალდებასთან დაკავშირებით. შეიძლება მათ ისეთი რამ თქვან, რომ ეს ფული კი არ დაიკარგა, არამედ კონკრეტულ საქმეს მოხმარდა. არც ეს არის გამორიცხული, ამ ბრალდებას დამტკიცება სჭირდება.

**გიორგი თავდგირიძე, სამხედრო ექსპერტი:**



– რაც პროკურატურამ განცხადებაში თქვა, ეს არის ფულის გათეთრების საქმე, კორუფციული სქემა საბიუჯეტო ფულის მოპარვის მიზნით. ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულ არანაირ კომპანიას არა აქვს შესაძლებლობა, ჩაუტაროს რაიმე ტიპის ტრენინგები ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, რაიმე ტიპის სწავლება ან ცოდნა გადასცეს. საქართველოს ჰქონდა შესაძლებლობა, თავისი სტრატეგიული პარტნიორების დახმარებით მოეწვია ინსტრუქტორები, ამერიკელი ან ისრაელის გადამდგარი ოფიცრები, ან რომელიმე ევროპული ქვეყნისთვის შეგვეთავაზებინა, რომ მათ გეგმებში ჩაედოთ, საქართველოში გარკვეული სწავლებები და ტრენინგები ჩატარებულიყო. სახეზეა დანაშაული, ძიებას შეუძლია ამოაგდოს ასეთი ტიპის ბევრი ხელშეკრულება, მე ვფიქრობ, რომ, თუკი გამოძიება კვალიფიციურად იმუშავებს და ბოლომდე მიჰყვება საქმეს, ბევრ ყოფილი მნიშვნელოვან პირზე გავა.

**— ამერიკელი სპეცსამსახურები იძიებენ იარაღის უკანონო ვაჭრობის საკითხს, რასაც წინ უძღოდა ჰილარი კლინტონის საიდუმლო წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან საქართველოში, მას ავალებდა გაერკვია, რა ხდებოდა კეზერაშვილის უწყებაში ამ მიმართულებით. რამე ინფორმაციას ფლობთ ამ საკითხზე?**

– იარაღით ვაჭრობა მკაცრად კონტროლდებოდა „ნაცმოძრაობის" მხრიდან, ეს იყო პარტიული ელიტის ბიზნესი, ისინი ამ შავ ფულს თავისკენ ქაჩავდნენ, მაგრამ ამას სჭირდება დადასტურება.

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესყიდვების სამსახურის უფროსი დავით ნინუა გიგა ბოკერიასთან დაახლოებული პირია და მათ ნათესაურ კავშირებზე საუბრობენ.**

– ეგ მე არ ვიცი, მაგრამ წავიკითხე ნინუას კომენტარი, სადაც ამბობს, რომ კეზერაშვილის ახლო მეგობარია. აი, ეს არის პრობლემა, როცა თავდაცვის მინისტრი და შესყიდვების სამსახურის უფროსი ახლო მეგობრები არიან.

**აფხაზეთის ომის ვეტერანი, საბრძოლო ქვედანაყოფ „ავაზას" მეთაური, გენერალი ტრისტან წითელაშვილი:**



– კეზერაშვილი მარტო არ მოქმედებდა, ყოველთვის ხაზს ვუსვამ, რომ მისი ბიზნესპარტნიორები იყვნენ სააკაშვილი, თემურ ალასანია. ეს ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ფული გაეთეთრებინათ. საინტერესო ისაა, რომ ჯარის საბრძოლო მომზადება საერთოდ არ მიმდინარეობდა, მხოლოდ დგებოდა დოკუმენტები, რეალურად კი საქმეს არ ხმარდებოდა, რადგან საქმე არ კეთდებოდა. კონკრეტულად კეზერაშვილის მინისტრობის დროს, ჯარის საბრძოლო წვრთნა საერთოდ არ ჩატარებულა. ეს ხდებოდა მხოლოდ სპეცრაზმის მასშტაბებში, ისიც რამდენიმეჯერ. ასეთ წვრთნებში ნაკლები დანახარჯი იყო, რეალურად კი ეს ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ მასშტაბური წვრთნები გადაეფარათ, რაც მათ ევალებოდათ და არ კეთდებოდა. აი, აქ ხდებოდა თანხების გათეთრება.

**იურისტი ვალერი გელბახიანი „ალიას" კითხვაზე, დაუსწრებლად გამოტანილი განაჩენით რა შედეგს მიაღწევს ქართული მართლმსაჯულება და საფრანგეთის ხელისუფლება გაითვალისწინებს თუ არა მის მიმართ დამძიმებულ ბრალდებას, ასე პასუხობს:**



– შედეგი იქნება ის, რომ კეზერაშვილის მიმართ ექსტრადირება არ განხორციელდება და მას საქართველოს მხარეს არ გადმოსცემენ, შესაბამისად, განაჩენი აღსრულებაზე არ იქნება, ხოლო დავით ნინუას მიმართ, რომელიც დაკავებულია, თუკი მის მიმართ მტკიცებულება საკმარისი იქნება, სასამართლო გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს. პროკურატურის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ ფული არის მოხსნილი, სჭირდება მტკიცებულება. იმის თქმა ცალსახად, რომ რაიმე შედეგი დადგება, ძნელია, ვინაიდან არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია, ადამიანი იქნება უდანაშაულო, ვიდრე კანონიერ ძალაში არ შევა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. ჩემი ინფორმაციით, კეზერაშვილმა საფრანგეთში მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. ასე რომ, საფრანგეთი მას მოთხოვნას დაუკმაყოფილებს, თუ უკვე არ დაუკმაყოფილა.

**„ალია" დაუკავშირდა საფრანგეთში მოღვაწე ქართველ ჟურნალისტს გიორგი ფოფხაძეს, აქვს თუ არა ინფორმაცია, რას საქმიანობს კეზერაშვილი დღეს საფრანგეთში, რაზეც მან გვიპასუხა, რომ ის თავს ბედნიერად გრძნობს და როგორც ამბობენ, მარსელში ატრიალებს ბიზნესს ალჟირელ და ალბანელ მაფიოზებთან ერთად. კითხვაზე, მოითხოვა თუ არა საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფარი, გიორგი ფოფხაძე პასუხობს: „კეზერაშვილს რაში სჭირდება პოლიტიკური თავშესაფარი, როცა მას აქვს ისრაელის მოქალაქის პასპორტი, რომელიც ქვას ხეთქავს".**

„ალია" დაუკავშირდა კეზერაშვილის ადვოკატს **შოთა მინდელს:**

**— ბატონო შოთა, პროკურატურის ახალ ბრალდებაზე, როგორია თქვენი დაცვის ქვეშ მყოფის პოზიცია, რაში სჭირდებოდა ვირჯინიის კუნძულზე დარეგისტრირებული კომპანიისთვის 5 მილიონის გადარიცხვა იმ საქმისთვის, რომელიც არ განხორციელებულა, არ ჩატარებულა გეგმიური სამხედრო წვრთნები, არის თუ არა ეს ფულის გათეთრების მცდელობა?**



– თქვენ ახსენეთ ფულის გათეთრება, ამაზე ბრალდების მხარეც არ საუბრობს, საუბარია 182-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს გაფლანგვა-მითვისებას. თქვენ ასევე გაინტერესებთ, თუ გადაირიცხა თანხები ოფშორში რეგისტრირებულ კომპანიაში. ეს ის პერიოდია, როცა დაძაბული იყო ურთიერთობა ჩვენს მეზობელ ქვეყანასთან და დღესაც ამ რეჟიმში ვართ, როცა გსურს შენი სამხედრო ძალებისთვის შეიძინო რაიმე მომსახურება ან პროდუქტი, იმ პერიოდისათვის ეს იყო ძალიან გაძნელებული და ამ მომსახურებას პირდაპირი წესით რომელიმე ძლიერი ქვეყანა ვერ ახერხებდა. ამიტომაც, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე წავიდნენ ამ გზით, რათა პირდაპირი კვალი არ გამოჩენილიყო და რაიმე ზიანი არ მისდგომოდა სახელმწიფო ინტერესებს. რაც შეეხება წვრთნების ჩატარებას, პროკურატურამ გააკეთა ამონარიდი განცხადების სახით, სადაც არ ახსნა, რომ წვრთნები ნამდვილად ჩატარდა. წვრთნები რომ ჩატარდა, ეს იმ დროისთვის მედიის საშუალებითაც შუქდებოდა. თუ ბრალდების მხარეს გააჩნია რაიმე პრეტენზია შესყიდვის მეთოდოლოგიასთან, ამასთან დაკავშირებითაც სამხედრო დანიშნულების მომსახურების პროდუქციის შესყიდვა არის სპეციფიკური, ამისთვის არსებობს საიდუმლო შესყიდვების ნაწილი, ეს არ განეკუთვნებოდა ჩვეულებრივ შესყიდვას, რომ თავდაცვის სამინისტროს ჯარის წვრთნისთვის გამოეცხადებინა ღია საერთაშორისო ტენდერი.

**— თქვენი არგუმენტებით რას ადასტურებთ, რომ წინა ხელისუფლება რუსეთთან ომისთვის ემზადებოდა?**

– უკაცრავად, ეს ჩემი თემა არ არის, ბოდიშს გიხდით, არავითარი ომისთვის არ ემზადებოდა, ჯარს სჭირდება მომზადება, მიუხედავად იმისა, არსებობს ომის საფრთხე თუ არა. ეს ჩემი კომპეტენცია არ არის, შემიძლია მარტივ კითხვებზე გიპასუხოთ.

**— რა ფორმით დაეხმარა ვირჯინიის კუნძულზე დარეგისტრირებული კომპანია საქართველოს ჯარს? რა სახის დახმარება გაუწია თუნდაც თქვენს მიერ ნახსენებ წვრთნებში, რაც 5 მილიონ ევროდ შეფასდა. რა შეისყიდეს მათგან?**

– წვრთნები ჩაატარეს უცხოელმა ინსტრუქტორებმა და ეს ფულიც ამაში დაიხარჯა.

**P.S. ფიცი მწამს, პროკურატურის ბრალდება მაკვირვებს. ქართულმა სასამართლომ კი ქრონიკულ დეპრესიაში ჩამაგდო. იარაღით უკანონო ვაჭრობით დაწყებული, მილიარდების გაფლანგვით დამთავრებული, კეზერაშვილს დანაშაულს ვერ უმტკიცებენ, მე კი მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ „ფრესკოში" ნაყიდი აყროლებული ქათამი 6500 ლარად შემიფასა. როგორ გაბედე, რომ გაზეთში „გააბაზრეო". ღმერთო, მესროლე მეტეორი ან გამტყორცნე ამ უსამართლო ქვეყნიდან!..**

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 31-ე ბატალიონის მეოთხე ნაკადი სამშობლოში დაბრუნდა



მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის 150 სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი გიორგი კბილცეცხლაშვილი, შეიარაღებული ძალების მთავარი სერჟანტი ალუდა კოპალიანი და სახმელეთო ძალების დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების სარდალი, პოლკოვნიკი ბესიკ გოფოძე ალექსეევკის აეროპორტში დახვდნენ. სამხედროებს საქართველოში დაბრუნება და ISAF-ის მისიის წარმატებით განხორციელება მიულოცეს, ასევე, მესამე ქვეითი ბრიგადის მეთაურმა ვიცე-პოლკოვნიკმა მალხაზ მერლანმა და გენერალური შტაბის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა.

31-ე ბატალიონის სამხედროებმა ISAF-ის მისია აშშ-ს საზღვაო ქვეითების დაქვემდებარებაში ჰელმანდის პროვინციაში შეასრულეს. ბატალიონის მთავარი ამოცანა ოპერაციის რაიონში ამბოხებულთა ძალების გაუვნებელყოფა, ადგილობრივი მთავრობისა და ეროვნული უსაფრთხოების ძალების განვითარების მხარდაჭერა და უსაფრთხოების ზონების კონტროლი იყო. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები ავღანეთში როტაციის წესით მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონმა ჩაანაცვლა. რამდენიმე კვირაში 31-ე ბატალიონის სამხედროები სამშობლოში სრულად დაბრუნდებიან. (რეპორტიორი)

## ჯემალ ცერცვაძეს სპორტის რაინდის წოდება მიენიჭა



ლეგენდარულ ქართველ ხელბურთელს ჯემალ ცერცვაძეს, რომელსაც დღეს 75 წელი შეუსრულდა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა უმასპინძლა. მინისტრმა ხელბურთელს იუბილე მიულოცა და სპორტის რაინდის წოდება მიანიჭა.

მილოცვას მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძეც შეუერთდა. შეხვედრას ესწრებოდნენ ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე, გენერალური მდივანი ქეთევან კობერიძე და ვიცე-პრეზიდენტი ვახტანგ მეიფარიანი. (რეპორტიორი)

**„ალია" ულოცავს სახელოვან სპორტსმენს იუბილეს, ჯანმრთელობას და დღეგრძელობას უსურვებს.**

## „კოდუამ „ტოიოტა-საქართველოს" მფლობელს ორი ჯიპი და დიდი ოდენობის თანხა წაართვა"



ნანუკა ჟორჟოლიანო, არ გამოგდის თავის მართლება, ყველაფერში იჭრები", – აცხადებს ნანუკა ჟორჟოლიანით გაღიზიანებული მანჩო გიორგობიანი და ტელეწამყვანს გაქნილ აფერისტს უწოდებს.

„ნანუკა ჟორჟოლიანი, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს! მიუხედავად შენი გატლეკილობისა, ნოშიკო ნამორაძის მეუღლემ, ნინო სუთიძემ სრულიად გამოააშკარავა თქვენი ბოროტმოქმედი ოჯახის კრიმინალური საქმიანობა... ძალიან კი ცდილობ, მაგრამ არ გამოგდის თავის მართლება, ყველაფერში იჭრები...

ერთი „იზვილინა" მაინც რომ გქონოდა, გეცოდინებოდა – „დრონი მეფობენ და არა მეფენი"..

P.S. ამ სტატუსშივე დავდებ, პირადი მოხმარებისთვის, საკუთარი ოჯახის წევრებისთვის, როგორ წაართვა ირაკლი კოდუამ ორი „ლუქს"-კლასის ჯიპი და დიდი ოდენობის თანხა ირაკლი გურჩიანს – „ტოიოტა-საქართველოს" მფლობელს. ირაკლი გურჩიანის უმცროს ძმას, ირაკლი კოდუამ ჩაუდო დიდი ოდენობის ნარკოტიკი და ასე „გაწენა" ირაკლი გურჩიანი!!! საქმე ძიებაშია!.. – და ეს არ იცის გაქნილმა აფერისტმა... ნანუკა ჟორჟოლიანმა?!". – წერს მანჩო გიორგობიანი. (ნიუპოსტი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

**„მედია უნდა გავათავისუფლოთ სახელმწიფო კონტროლისაგან, იგი უნდა იქცეს ხელისუფლების კონტროლის მექანიზმად, რაც საზოგადოებას საშუალებას მისცემს მრავალმხრივი, მიუკერძოებელი ინფორმაციის საფუძველზე გააკეთოს არჩევანი; სასამართლო უნდა დავიცვათ ნებისმიერი გარე გავლენისგან, ხოლო მართლმსაჯულების აღსრულება უნდა დავაფუძნოთ ერთადერთ პრინციპზე კანონის უზენაესობაზე“.**

**ბიძინა ივანიშვილი 2011 წელი, 11 დეკემბერი**

41

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...



**გაზეთის პირველ და მე-3 გვერდში გამოვხატეთ.**

ახლა რაც შეეხება საგაზეთო თემას...

მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2“-მა ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით სკანდალი ატეხა, „ნაციონალმა“ დეპუტატმა, ირმა ნადირაშვილმა განაცხადა: ჩვენ გვაქვს გარკვეული ინფორმაცია, რომ მარტო ტელეკომპანიებში კი არა, მოსასმენი აპარატურა დამონტაჟდა პარლამენტშიც და უშუალოდ, დავით უსუფაშვილის ოთახში. ამიტომ, მე მოვუწოდებ პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ არასერიოზული კი არ დაარქვან, მქონია, ამიტომ, მაგალითად, ჩემი კაბინეტი არც ერთხელ არ შემიმოწმებია. ეს მოსმენების თემა, სამწუხაროდ, იმ ძალის აგორებულია, რომელიც წლების განმავლობაში უკანონო მოსმენებზე, ადამიანების პირადი ცხოვრების შესახებ კომპრომატების მოძიებასა და დაშანტაჟებაზე იდგა. როდესაც ისინი მოსმენებზე აქცენტს აკეთებენ და როდესაც ამაზე ნადირაშვილი საუბრობს, ეს საზოგადოების დაცინვაა. თუ ვინმეს, პარლამენტის თავმჯდომარის ოთახში, რაიმეს დამონტაჟების სურვილი გაუჩნდებოდა, რა თქმა უნდა, ეს „ნაციონა-

– ხელისუფლებას, რომ სხვა კურსი აქვს აღებული, ამაზე იმ მანკიერი პრაქტიკის გამომჟღავნება საუბრობს, რომლითაც „ნაციონალები“ სარგებლობდნენ. ამაზე მეტყველებს ჩვენი ერთ-ერთი მინისტრის მოადგილის, გელა ხვედელიძის განთავისუფლება, რომელიც არჩევნებში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. როგორც კი მის ქმედებაში აღმოჩნდა, რომ ის ფარული ჩანაწერებით მანიპულირებდა, ის გაათავისუფლეს.

როდესაც ასეთი თემების წამოწევა ისეთი ადამიანების მხრიდან ხდება, როგორიც, მაგალ-

# რას უყვებიან „ალიას“ უსუფაშვილის და ვიცე-სპიკერების კაბინეტების უკანონო მოსმენებზე მანანა კობახიძე და ირაკლი სესიაშვილი

**„ალიას“ მკითხველი სამშაბათის და ოთხშაბათის ნომრების სპეციფიურობას, ალბათ, ადვილად შეამჩნევდა — „ქუდის“ გვერდზე „ქართული ოცნების“ ნეკროლოგი დევს, მე-3 გვერდზე კი „ალიას“ ფინანსურად განადგურების განაჩენის მოკლე აღწერილობა: უზენაესმა სასამართლომ „ნაციონალების“ თავგადაკლული მხარდამჭერის, ოთარ კობერიძის სასარგებლოდ 50 000, ხოლო მარკეტ „ფრისკოში“ ნაყიდ აყროლებულ ქათამზე დაწერილი სტატიის გამო 6 500 ლარის გადახდა დაგვაკისრა, და იქვე მოვუწოდებთ მკითხველს, რომ არჩევნებზე „5“ და „41“ არ შემოხაზონ.**

**მოსმენებთან დაკავშირებით, ორ „მეოცნებე“ დეპუტატს, ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს და კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილს ვესაუბრე და ველოდებოდი, რომ ერთ-ერთი მაინც, ან ნეკროლოგზე მკითხავდა რამეს, ან „41“-თან დაკავშირებულ მოწოდებაზე ან სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმებით დაინტერესდებოდა. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ არჩევნებამდე, ორივე მათგანი, ჩვენი განსაკუთრებით აქტიური რესპონდენტი იყო. სამწუხაროდ, ორივესთან ისე ჩამთავრდა საუბარი, რომ არანაირი კითხვა არ გასჩენიათ. მათი ასეთი დამოკიდებულება, პასუხს სცემს ჩვენს იმ ემოციას და რეაქციას, რაც** არამედ თავისი თავიც დაიცვან და დააჩქარონ გამოძიება“.

დეტალების დასაზუსტებლად „ალია“ ირმა ნადირაშვილს დაუკავშირდა, მაგრამ მან ამ საკითხზე საუბარი კატეგორიულად არ ისურვა.

შემოწმებულია თუ არა უსუფაშვილისა და პარლამენტის სხვა ხელმძღვანელი პირების კაბინეტები მისაყურადებელ აპარატურაზე? ან ნადირაშვილის განცხადების შემდეგ შეამოწმებინებენ თუ არა კაბინეტებს უსაფრთხოების სამსახურს?

**ამაში გასარკვევად „ალია“ პარლამენტის ვიცე-სპიკერს, მანანა კობახიძეს დაუკავშირდა:**

**— ქალბატონო მანანა, ირმა ნადირაშვილის განცხადებიდან გამომდინარე მაინტერესებს. გამორიცხავთ, რომ არა მარტო პარლამენტის თავმჯდომარის, არამედ სხვა ხელმძღვანელი პირების კაბინეტებშიც იყოს სათვალთვალო აპარატურა?**

– ეჭვის გაჩენის არანაირი საფუძველი არ ლური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილის თავში მოსული აზრი იქნებოდა.

**— გეთანხმებით, მოსმენებზე იდგა წინა ხელისუფლება და ამიტომაც გეკითხებით, მათი აშენებულია და ასე თავდაჯერებული რატომ მეუბნებით, რომ უსუფაშვილის ან თქვენს კაბინეტში აპარატურა არ არის დამონტაჟებული?**

– უსაფრთხოების თვალსაზრისით, ალბათ, შენობა შემოწმდა, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ლოგიკურია, რომ უსაფრთხოებისთვის შენობა უნდა შემოწმებულიყო. არანაირი საფუძველი ნადირაშვილის განცხადებას, რომ ახლა პარლამენტის თავმჯდომარესაც უსმენენ, ნამდვილად არ აქვს. ამაზე ის ძალა საუბრობს, რომელიც მართლა მოსმენებზე იდგა. ამას რომ „ენჯეო“ ან პატიოსანი ჟურნალისტი ამბობდეს, ან რომელიმე გაზეთის რედაქტორი, სულ სხვა რამ იქნებოდა, მაგრამ, როცა ამას ირმა ნადირაშვილი ამბობს, მართლა სასაცილოა.

**— როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, შეგიძლიათ, დადასტურებულად მითხრათ, რომ არც პოლიტიკურ ოპონენტებს, არც ერთმანეთს და არც არასასურველ ჟურნალისტებს დღეს ხელისუფლება არ უსმენს?**

– მაგალითად, „ნაცმოძრაობაში“ ნადირაშვილია ან კანდელაკი და მათი მხრიდან ხდება დღის წესრიგების შემოთავაზება, რომ აი, თურმე ყველას უსმენენ და თურმე უსუფაშვილს უსმენენ, მაშინ მეც ვიტყვი, რომ ეგებ მიხეილ სააკაშვილმა თავის კონტროლქვეშ მყოფი „რუსთავი 2“-ის მეტი კონტროლი გადაწყვიტა და კონკრეტულ ადამიანებს ამ სისტემის დამონტაჟება დაავალა, რომ შორიდან აკონტროლოს ტელევიზია? ენას ძვალი არ აქვს, ხომ შეიძლება ასეთი ვერსიაც ვთქვათ?

**ვინაიდან მანანა კობახიძე პარლამენტში სათვალთვალო აპარატურის არსებობას გამორიცხავს, „ალია“ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი სესიაშვილსაც დაუკავშირდა:**

**— ბატონო ირაკლი, პარლამენტი რა დონეზეა დაცული ფარული მოსასმენი აპარატურისგან, ეს საკითხი თუ მოგიკითხავთ, რაც დეპუტატი ხართ?**

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ანაკლიაში „კაზანტიპის“ ფესტივალი ჩატარდება



ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფროსის, გიორგი სიგუას განცხადებით, „კაზანტიპის“ ფესტივალი ყირიმის ნაცვლად საქართველოში ჩატარდება.

„კაზანტიპი“ ელექტრონული მუსიკის ფესტივალია, რომელიც ამ დრომდე ყოველწლიურად ყირიმში იმართებოდა. ამიერიდან ის ყირიმის ნაცვლად, საქართველოში, ანაკლიაში ჩატარდება. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის გათვლაა, რომ უკრაინელი ტურისტების რაოდენობა 100%-ით გაიზარდოს. სავარაუდოდ, ერთ კვირაში გაფორმდება ხელშეკრულება სარეკლამო კომპანიასთან, რომელიც გრანდიოზულ კამპანიას გააკეთებს უკრაინაში. შეთანხმება არის ასევე მიღწეული უკრაინის საერთაშორისო ავიახაზებთან, ახალი რეისების დანიშვნაზე ბათუმის აეროპორტში, კიევის, ხარკოვისა და ლვოვის მიმართულებით, სულ საუბარია 11 რეისზე კვირაში“, – განაცხადა გიორგი სიგუამ. (ნიუპოსტი)

**„ალია“: „ლენტა.რუ“-ს ინფორმაციით, პროექტ „კაზანტიპის“ ავტორი, ნიკიტა მარშუნოკი აცხადებს, რომ ფესტივალის გადატანას არსად გეგმავს.**

„ნიკიტა მარშუნოკი: ჩვენი თაყვანისმცემლების კომფორტისთვის, მზად ვართ „კაზანტიპის“ კლონირებისთვის მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. ამ მომენტისთვის განვიხილავთ საქართველოს, რუსეთის, კამბოჯის, საფრანგეთის, კოსტა-რიკას წინადადებებს. „მსოფლიო ბატონობა“ ჩვენი დიდი ხნის მიზანია“.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალის დროს, სამართალდამცველი ორგანოები განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობენ, რათა სტუმრებს შორის ნარკოტიკის მოხმარების ფაქტები აღკვეთონ. შარშან, როდესაც ფესტივალი უკრაინაში იმართებოდა, ყველა ავტომობილი თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საზღვარზე განსაკუთრებულ შემოწმებას გადიოდა.

ქართველი სამართალდამცველები ჯერჯერობით არ საუბრობენ იმ გეგმებზე, რომლითაც ფესტივალზე ნარკოდანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას აპირებენ“. – წერს ლენტა.რუ.

ინფორმაციას ფესტივალის საქართველოში ჩატარების შესახებ სოციალურ ქსელებში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. საზოგადოების ნაწილი ქვეყანაში „გარყვნილებისა და ნარკოტიკის პროპაგანდის ფესტივალის“ ჩატარებაზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ევროპისკენ მიმავალ გზაზე მდგომი საზოგადოებისთვის, ასეთი ღონისძიებები მისაღები უნდა იყოს და რომ ქართულ ხასიათს სითამამე აკლია.

## სამხედრო ფორმისა და განმასხვავებელი ნიშნების უკანონოდ ტარებისთვის ჯარიმა წესდება



საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლისა და განმასხვავებელი ნიშნების უკანონოდ ტარება ადმინისტრაციული წესით დასჯადი ხდება. შესაბამისი ცვლილებები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შედის. ინიციატივა თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის, რომელიც განსახილველად პარლამენტს უკვე წარედგინა. პროექტის თანახმად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ ემატება ახალი მუხლი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმის ტანსაცმლისა და განმასხვავებელი ნიშნების უკანონოდ ტარება გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში პირს 200-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს. (კვირა)

## ავტოსაგზაო შემთხვევას 5 ადამიანი ემსხვერპლა




შემთხვევა ქუთაისი-სამტრედიის მაგისტრალზე მოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა გზიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა, რის შედეგადაც ავტომობილში მყოფი 8 ადამიანიდან 5 გარდაიცვალა. 3 დაშავებული კი ამ დროისთვის სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი. ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი და მეშვიდე ნაწილით მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

**„ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას სამართლიანი სასამართლოსთვის და სამართალდამცავი სტრუქტურების პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლებისათვის, რათა სამართალი დავუბრუნოთ ხალხს“.**

**ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი**

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

*მეშვიდე გვერდიდან*

– დავიწყოთ იმით, რომ პარლამენტის ფუნქცია არის პოლიტიკის



ასეთი რამ. ჩვენ ახლა ამ პოტენციური თეორიული საფრთხის ლიკვიდაციით ვიყოთ დაკავებული, თუ საქმე ვაკეთოთ და იმაზე ვიფიქროთ, რა გავაკეთოთ ქვეყნისთვის? მე მაინც მიმაჩნია, რომ ის ისტერია, რაც არსებობს მოსმენებთან დაკავშირებით, უფრო მეტად პოლიტიზებულია, ვიდრე არსებობს რეალური საფრთხეები და რისკები.

**— ანუ ცალსახად მარწმუნებთ, რომ მეც არ მისმენთ?**

– დიახ, არ გისმენთ. „ნაციონალები“ როცა უსმენდნენ ყველას და ყველაფერს, ამ მოსმენას იყენებდნენ პოლიტიკური შანტაჟის, ზეწოლის, კონტროლისთვის, კომპრომატებისთვის და შემდგომ ზეწოლისთვის. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ ასი ათასობით ადამიანი აღმოჩნდა განსასჯელის სკამზე, ზოგს ფული წაართვეს, ზოგი ციხეში აწამეს. ეს ტექნიკური მასალები არ მოგვიპოვებია და არავინ დაგვიშანტაჟებია. ლოგიკურად, ჩვენ მათნაირი არ ვართ. ჩვენს ხელისუფლებას არ აქვს ამის ინტერესი, რისთვის მოგისმინოთ?

**— პოლიტიკურ ოპონენტებს?**

– არც მათ გააჩნიათ განსაკუთრებული საიდუმლოება, რაც უნდათ, ღიად ამბობენ ამას, მაგრამ თუ რამე კანონსაწინააღმდეგო საქმეს გეგმავენ, ოპერატიულ დონეზე ეს ისედაც გამოჩნდება, არავის არ სჭირდება რაღაცის მოსმენა. ვინც იწერდა ამ მასალებს მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, სერიალებს გვაყურებინებდნენ.

**— ახლაც იგივე რომ გაკეთდეს, თუნდაც დამონტაჟებით, მერე რაღას იტყვით?**

– გინახავთ სადმე ჩვენი ხელისუფლების დროს მსგავსი სერიალები?

**— წინ კიდევ გაქვთ დრო...**

– არ გვაქვს ამის მიზანი, სურვილი არ გაგვაჩნია, რომ გისმინოთ. თუ ვიწრო პოლიტიკური ინტერესები გვაქვს და ამ რისკზე თუ წავა ხელისუფლება, რომ ვინმეს მოუსმენს, ამას გარკვეული მიზანი ექნება, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება.

**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**



**„უსაფრთხოების საკითხის უზრუნველსაყოფად არსებობენ უსაფრთხოების სამსახურები, რომლებიც მუშაობენ საკმაოდ ეფექტურად, რამდენადაც ვიცი, ზოგადად, ამ სამსახურების საქმიანობა, არსებული რესურსისა და შესაძლებლობის ფარგლებში ისინი ინტენსიურად მუშაობენ“**

განსაზღვრა და არა ოპერატიული მუშაკობა. ჩვენ პოლიტიკას განვსაზღვრავთ და არ ვართ დაკავებული იმით, ვჩხრიკოთ პარლამენტი და მოვიკითხოთ. უსაფრთხოების საკითხის უზრუნველსაყოფად არსებობენ უსაფრთხოების სამსახურები, რომლებიც მუშაობენ საკმაოდ ეფექტურად, რამდენადაც ვიცი, ზოგადად, ამ სამსახურების საქმიანობა, არსებული რესურსისა და შესაძლებლობის ფარგლებში ისინი ინტენსიურად მუშაობენ.

**— რა პერიოდულობით?**

– რამდენადაც ვიცი, ხშირად.

**— კი მაგრამ, 9-წლიანი რეჟიმის შემოქმედი რომ აშენებს პარლამენტს, კამერები, არ უნდა შეამოწმოთ?**

– ასე თუ მივყვებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყველა სახელმწიფო უწყებაში და დაბალი რანგის მოხელეების კაბინეტებშიც იარსებებს

**რედაქციისგან: მოდი და, ნუ გაგიკვირდება, პარლამენტის ვიცე-სპიკერი და თავდაცვის და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე ჯერ იმას ამტკიცებენ, წინა რეჟიმი მოსმენებზე იჯდაო, და მერე იმასაც გვისაბუთებენ, სააკაშვილის აშენებულ პარლამენტში არა გვგონია მოსასმენი აპარატურა იყოსო. სად არის ლოგიკა, რომელი დაგიჯეროთ? სააკაშვილი თავისიანებსაც უსმენდა და ყველაზე კომპრომატები ჰქონდათო, თქვენ არ ამბობდით? ხელისუფლებაში ყოფნის დღეები დაამთავრეს თუ არა, პარლამენტში აპარატურა მოხსნეს და წაიღეს? გამორიცხულია! ალბათ, არის და სადღაც მოშორებული ადგილიდან ყოველდღე გაყურადებენ. ჰოდა, რადგან ეს საკითხი არ გაინტერესებთ, როცა დაჭირდებათ, თქვენი საუბრების „ვიდეკლიპებით“ რომ ააჭრელებენ სოციალურ ქსელებს, ჩვენი ნათქვამი კარგად გაიხსენეთ...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საფრანგეთი საქართველოსთან ურთიერთობებს აღრმავებს



საფრანგეთის სენატის თავმჯდომარე, ჟან პიერ ბელი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს შეხვდა.

„პირველი და მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ჩვენ გულთან მიგვაქვს, არის საფრანგეთი-საქართველოს მეგობრობის თემა. ამის დამადასტურებელი იყო დღევანდელი შეხვედრაც. ჩვენ ასევე ვისაუბრეთ იმ დაძაბულ გარემოზე, რომელიც საქართველოსთან ახლოს შეიქმნა, რა თქმა უნდა, უკრაინის თემას ვგულისხმობ. ჩვენ ამ შემთხვევაში ვფიქრობთ მეგობარ ქართველებზე. რა თქმა უნდა, საფრანგეთი და საქართველო შეშფოთებულები არიან უკრაინაში არსებული დაძაბული ვითარების გამო. აუცილებლად უნდა შევეხო ქართული მხარის წვლილს მსოფლიო უსაფრთხოების მიღწევაში. ჩვენ ძალიან ვაფასებთ ცენტრალურ აფრიკაში ქართული კონტინგენტის გაგზავნის მზადყოფნას, მშვიდობისა და უსაფრთხოების მისაღწევად. ესეც მნიშვნელოვანი გზავნილია ორმხრივი ურთიერთობისთვის. ვისაუბრეთ საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტზე საქართველოში. ჩვენ ვაღრმავებთ თანამშრომლობას საქართველოსთან და ამის დასტური იყო ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი თბილისში. ამჯერად უკვე პრეზიდენტი ჩამოდის. დღეს ჩვენ ვსაუბრობთ აქ, ისინი ხვალ გააგრძელებენ საუბარს. სწორედ ეს არის ორმხრივი ურთიერთობების ძალიან დიდი ილუსტრაცია“, – განაცხადა საფრანგეთის სენატის თავმჯდომარემ. (ფრონტნიუსი)

## 45 წლის მამაკაცი მდუღარე ხაშლამის ქვაბში ჩავარდა



შემთხვევა კახეთში მოხდა. როგორც ბ. იაშვილის სახელობის დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელმა გუგა ქაშიბაძემ განაცხადა, მამაკაცმა მდუღარეში ჩავარდნის შედეგად მე-3 ხარისხის დამწვრობა მიიღო. პაციენტი კლინიკაში გუშინ გვიან ღამით მოათავსეს.

„მამაკაცი ხაშლამის მდუღარე ქვაბში ჩავარდა და ზურგის არე წელამდე დამწვარი აქვს. ამჟამად, პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია, ის კლინიკის რეანიმაციის განყოფილებაშია მოთავსებული და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება“, – განაცხადა გუგა ქაშიბაძემ. (კვირა)

ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები...

## გოგა ზაქაიძე: კოდუაც ისეთივე გარეწარია ჩემთვის, როგორც ნოშრევან ნამორაძე



დავით კოდუასა და ნოშრევან ნამორაძეს ბიზნესმენი გოგა ზაქაიძე მისი ბიზნესსაქმიანობისა და სახელის დისკრედიტაციაში ადანაშაულებს.

გოგა ზაქაიძეს, რომელიც „ტიფლის დეველოპმენტის“ მფლობელია, ნოშრევან ნამორაძემ სასამართლოში უჩივლა. ზაქაიძის თქმით, ის ფლობს ყველა დოკუმენტს, რომელიც მასთან ბიზნესპარტნიორობის პერიოდში გატანილ თანხებსა და ფართებს ასახავს, ამიტომ მას ნამორაძესთან დავაში გამარჯვების უნარი აქვს.

როგორც ბიზნესმენი აცხადებს, 2008 წელს, მისი ბიზნესპარტნიორი ნოშრევან ნამორაძე იყო, რა პერიოდშიც ნამორაძე დავით კოდუასთან მეგობრობდა.

„ერთ-ერთი 25% იყო დავით კოდუასი, რომელსაც მე იმ დროს ვიცნობდი, თუმცა არ ვმეგობრობდი. იგი ჩემთან მოიყვანა ნოშრევან ნამორაძემ. თავიდან ყველაფერი ასე დაიწყო: „ტიფლის დეველოპმენტი“ ჩამოვაყალიბეთ აუქციონზე 700 ათას დოლარად ნაყიდი მიწის ნაკვეთით, თუმცა ნოშრევან ნამორაძემ მითხრა, რომ თანხა არ ჰქონდა და მერე შემოიტანდა თავის წილს ნაკვეთისთვის. წესით, მას უნდა გადაეხადა 350 ათასი დოლარი, მე კი კრედიტი დავფარე 700 ათასი დოლარი და ველოდებოდი მისგან თანხის შემოტანას. ამის შემდეგ უნდა დაგვეწყო მშენებლობა. ნამორაძემ ისევ განაცხადა, რომ თანხა არ ჰქონდა, მე დამედო ეს თანხა და შემდეგ შემოიტანდა. მშენებლობა დავიწყე 400 ათასი დოლარით. თუმცა, ნამორაძეს ამ პერიოდში არ ჰქონდა თანხა შემოტანილი. იგი იმ პერიოდში იყო ჩემი მეგობარი, რომელმაც მთხოვა, რომ მისი მეჯვარე ვყოფილიყავი, ქორწილი გადავუხადე, ბაკურიანში აგარაკი ვაჩუქე. აგრეთვე, მის მეუღლეს მივეცი ჩემი ძვირადღირებული ავტომობილი. შემდეგ დამაკავეს ზუსტად იმ პერიოდში, რა დროსაც ნოშრევან ნამორაძე დააკავეს“, – განაცხადა გოგა ზაქაიძემ.

ბიზნესმენი აცხადებს, რომ ის და ნამორაძე ერთი და იგივე მიზეზით დააკავეს, კერძოდ ნარკოტიკი ჩაუდეს.

„განთავისუფლების შემდეგ მე კვლავ გავაგრძელე ჩემი ბიზნესსაქმიანობა, 2009 წელს კოდუას და ნოშრევან ნამორაძეს კვლავ არც ერთი თეთრი არ ჰქონდათ კომპანიაში შემოტანილი, მხოლოდ ერთხელ შემოიტანეს 30 ათასი დოლარი, რომელიც ისევ მალე გაიტანეს უკან. ამის შემდეგ, მე ისინი ვაიძულე, რომ გასულიყვნენ წილიდან. კერძოდ, მათ ამ პერიოდში მშენებლობიდან გატანილი ჰქონდათ დაახლოებით 2500 კვ.მ ფართობი, რომელიც შემდეგ უნდა დაერიგებინათ მოსახლეებზე, მე მათ ვუთხარი, რომ, თუკი ჩემს ვალს, რომელიც წარმოადგენდა მილიონზე მეტ დოლარს, არ დააბრუნებდნენ, მე მშენებლობას არ გავაგრძელებდი და პრობლემები შეექმნებოდათ წინასწარ დარიგებული ფართების გამო. ისინი იძულებული იყვნენ, რომ ნოტარიუსის მეშვეობით გადმოეფორმებინათ თავიანთი წილები, ნამორაძის დედა და მეუღლე, რომლებიც, ფიქტობრივად, ფლობდნენ ამ წილს, მივიდნენ ნოტარიუსში და ეს წილი გადმოაფორმეს“, – განაცხადა ბიზნესმენმა.

მისივე თქმით, სწორედ გატანილი ფართების შედეგად დაგროვდა კოდუასა და ნოშრევან ნამორაძის ვალი. ბიზნესმენის განცხადებით, ნოშრევან ნამორაძემ მას უჩივლა და წილების დაბრუნებას ითხოვს.

„რვა თვეა, ნოშრევან ნამორაძე ჩივის და ითხოვს წილების დაბრუნებას, რომელ წილზე საუბრობს ის, როდესაც ერთი თეთრი არ აქვს შემოტანილი კომპანიის ანგარიშზე და ამასთან ერთად გააჩნია ვალი? რაც შეეხება მისი მეუღლის განცხადებას, თითქოს მას მანქანა წაართვეს, ეს მანქანა მის მფლობელობაში არ ყოფილა, უბრალოდ, იგი დადიოდა ჩემი მანქანით, რომელიც განთავისუფლების შემდეგ სახელმწიფოს გადავუფორმე“, – განაცხადა ბიზნესმენმა გოგა ზაქაიძემ.

ზაქაიძე ამბობს, რომ განთავისუფლების სანაცვლოდ მაშინდელ ხელისუფლებას დაახლოებით 180 ათასი დოლარის ღირებულების ქონება გადასცა. მისივე განმარტებით, განთავისუფლების შემდეგ ნოშრევან ნამორაძე და კოდუა დაპირისპირებულები იყვნენ. წილების გადმოფორმების საკითხზე რამდენჯერმე მოუწია კოდუასთან შეხვედრა.

„კოდუაც ისეთივე გარეწარია ჩემთვის, როგორც ნოშრევან ნამორაძე. მათ კომპანიის ფართი წაიღეს და ფული არ მოიტანეს“, – განაცხადა ბიზნესმენმა. (კვირა)

## დეპუტატი თამაზაშვილი ჯერ ისევ სტუდენტია



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დეპუტატი ალექსანდრე თამაზაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2002 წელს ჩაირიცხა, თუმცა ამჟამად რეგისტრირებულია, როგორც იურიდიული ფაკულტეტის 2013-2014 სასწავლო წლის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი.

აღნიშნულ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაცია IDFI ავრცელებს, რომელმაც, თავის მხრივ, ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის აპარატისგან მიიღო.

დეპუტატი თამაზაშვილი აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს და აცხადებს, რომ სტუდენტის სტატუსი წელს აღადგინა და დამამთავრებელ სემესტრზეა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

**„დღეს ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას იმისთვის, რომ მკვეთრად შევცვალოთ საქართველოს თითოეული მოქალაქის ცხოვრება უკეთესობისკენ“.**

**ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი**

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...



## ჯონდი ბაღათურია: „პარლამენტი და პრეზიდენტი ხალხმა ვინმეს ხათრით არ უნდა აირჩიოს“

## მამა დავით ისაკაძე: „პირდაპირ გეუბნებით, არავის მოწოდება საჭირო არაა. პირიქით, მრევლი თვითონ მოგვიწოდებს, რომ ქუჩაში გამოვიდეთ“



ბევრის მოლოდინი, მარგველაშვილი ივანიშვილთან და ღარიბაშვილთან დაპირისპირებულია და ანტიდისკრიმინაციულ კანონს ვეტოს დაადებენო, არ გამართლდა – 7 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა კანონს ხელი მოაწერა, „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა და შესაბამისად, ძალაში შევიდა.

**„ალია“ დაინტერესდა, რას აპირებენ ის ადამიანები, ვინც კანონპროექტზე მსჯელობის დაწყებიდანვე, მის მიღებას აპროტესტებდა და სოდომ-გომორის ცოდვის დაკანონებად მიიჩნევდა.**

**„ალია“ „ქართული დასის“ ლიდერს, ჯონდი ბაღათურიას დაუკავშირდა:**

**— ბატონო ჯონდი, ბოლო იმედიც მოკვდა, პრეზიდენტმა ვეტო არ დაადო კანონს. რას აპირებთ ახლა?**

– პარლამენტისა და პრეზიდენტის საქციელი ამ კანონთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს იმას, რომ პარლამენტი და პრეზიდენტი ხალხმა ვინმეს ხათრით არ უნდა აირჩიოს. პრეზიდენტი და პარლამენტი არ უნდა იყოს მარიონეტი. რატომ ვერ „გაქაჩა“ პრეზიდენტმა, რომ ვეტო დაედო მისთვის?

**— რატომ?**

– იმიტომ, რომ მარიონეტები არიან. იმართებიან საზღვარგარეთიდან, დამოკიდებულები არიან არა საკუთარ ხალხზე, რომელმაც ისინი აირჩია, და მასობრივად გამოთქვამს პროტესტს ამ კანონის გამო, არამედ დამოკიდებული და ანგარიშვალდებულნი არიან უცხოელი პატრონების მიმართ.

**— მარგველაშვილმა რომ ვერ „გაქაჩა“, ეგ გასაგებია. ის მაინტერესებს, რამეს აპირებთ, გაქვთ რამე გეგმა?**

– ჩვენ არ ვცნობთ ამ კანონს, ეს არის უკანონო კანონი, ამიტომ, რა თქმა უნდა, ქართველმა საზოგადოებამ უნდა გამოიყენოს უფლება, გამოვიდეს ქუჩაში და უფრო ხმამაღლა მოითხოვოს ამ კანონის მოქმედების შეჩერება.

რაც შეეხება კონკრეტულ გეგმას, მე რომ ვთქვა ახლა, რომ გამოსვლები იქნება, მაშინ მე უნდა ვიყო ორგანიზატორი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ეკლესიის პრეროგატივაა. მთავარი წარმმართველი ძალა ეკლესიაა და მას ბოლომდე გავყვებით ამ პროცესში. მაქვს ინფორმაცია, რომ ქართული ეკლესია არ აპირებს ამ სიბინძურისთვის მომავალი თაობის დათმობას, ამიტომ წინასწარ არ გავაკეთებ არანაირ განცხადებას.

**„პარლამენტისა და პრეზიდენტის საქციელი ამ კანონთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს იმას, რომ პარლამენტი და პრეზიდენტი ხალხმა ვინმეს ხათრით არ უნდა აირჩიოს“**

**რედაქციისგან: მთელი წინა კვირის „ალია“-„ქრონიკა“ და ამ კვირის „ალიას“ ორი ნომერი ისე გამოვიდა, ჩვენი, თითქმის მუდმივი რესპონდენტები ისე ამთავრებენ საუბარს, ერთს არ უკითხავს, რა გჭირთ, ეს რა დაგმართესო... არა და, უპრეცენდენტო რამ მოხდა — ქართული პრესის ისტორიაში პირველად, 50 000 ლარიანი ჯარიმა ჩვენ დაგვაკისრეს, დამპალი ქათამი კი, არ ყარს და 6 500 ლარი გადაიხადეთო. აღარაფერს ვამბობთ ისეთ უპრეცენდენტო, პირდაპირ მოწოდებაზე, რომელიც „საოცნებო“ 41 ნომერს ეხება, 5-იანზე საუბარიც აღარ არის...**

**თუ რას აპირებენ სასულიერო პირები, ამის გასარკვევად „ალია“ მამა დავით ისაკაძეს დაუკავშირდა:**

**— მამაო დავით, გეიმედებოდათ, რომ პრეზიდენტი კანონს ვეტოს დაადებდა?**

– სამწუხარო ფაქტი მოხდა, უდიდესი ცოდვის, სოდომ-გომორის ცოდვის დაკანონებისა. მე ასე ვფიქრობ, რომ ამ კანონის მიმღებმა ადამიანებმა საკუთარ თავს წერტილი დაუსვეს. ჩვენ იმედი არ გადაგვიწურავს. კვლავაც და კვლავაც გავაგრძელებთ, საქართველოში ნებისმიერი ცოდვის დაკანონების წინააღმდეგ ბრძოლას, რაც ჩვენს ძალებში შედის, რაც შესაძლებელია, რომ ჩვენ გავაკეთოთ, ყველაფერს გავაკეთებთ. პრეზიდენტმა და იმ პარლამენტარებმა, რომლებმაც ეს კანონი მიიღეს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს გამოუტანეს განაჩენი. რა ფორმით იქნება ჩვენი წინააღმდეგობა გამოხატული, ამას სულ მოკლე ხანში მთელი საზოგადოება და მთელი საქართველო შეიტყობს.

**— რამე გეგმა თუ გაქვთ, როგორ მოიქცევით?**

**„ვერ „გაქაჩა“ პრეზიდენტმა, რომ ვეტო დაედო მისთვის... იმართებიან საზღვარგარეთიდან, დამოკიდებულები არიან არა საკუთარ ხალხზე, რომელმაც ისინი აირჩია, და მასობრივად გამოთქვამს პროტესტს ამ კანონის გამო, არამედ დამოკიდებული და ანგარიშვალდებულნი არიან უცხოელი პატრონების მიმართ“**

*გაგრძელება მეათე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ლატვიურ თევზის შპროტში კანცეროგენის ზედმეტი დოზა აღმოაჩინეს



სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შებოლილი თევზის შპროტში ბენზ(ა)პირენი აღმოაჩინა, რომელიც, სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსის, კახა სოხაძის განცხადებით, კანცეროგენია.

„ეს ნივთიერება პირდაპირ მოწამვლას არ იწვევს, დროთა განმავლობაში, გარკვეული დოზით უნდა მიიღოს ადამიანმა, რომ შემდგომში ჯანმრთელობის გარკვეული ცვლილება გამოიწვიოს. ეს უბრალოდ შეფასებულია, როგორც ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხე და ნორმირებულია სურსათში მისი შემცველობა. ბენზ(ა)პირენი კანცეროგენია, გადაჭარბებული დოზით, დიდი ხნის განმავლობაში მისმა მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული კანცეროგენული, სიმსივნური ცვლილებები ადამიანის ორგანიზმში“, – აღნიშნა კახა სოხაძემ.

მისივე განმარტებით, კონკრეტული ადამიანი სახიფათო თევზის შპროტს ინტენსიურად ვერ მიირთმევდა, რადგან მთელი საქართველოს მასშტაბით 2500 ქილა იყო შემოსული.

რაც შეეხება იმპორტიორის მიერ შემოტანილ შპროტის ახალ პარტიას, როგორც კახა სოხაძემ განმარტა, მათ დაევალათ, დარწმუნდნენ და მწარმოებლისგან მიიღონ გარანტიები, რომ ახალი პარტიები საფრთხეს არ შეიცავს და მათი რეალიზება შემდგომ მოახდინონ.

ბენზ(ა)პირენის მაღალი შემცველობა ლატვიური წარმოების შებოლილი თევზის შპროტში აღმოჩნდა.

სურსათის სააგენტომ აღნიშნულის თაობაზე „საგანგაშო შეტყობინება“ ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა დაცვის გენერალური დირექტორატის (DG SANCO) ევროპის კომისიის RASFF-ის სწრაფი საგანგაშო შეტყობინების სისტემით მიიღეს.

შეტყობინებაში გასატარებელ ღონისძიებად მითითებულია სურსათის ბაზრიდან გამოთხოვა.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში იმპორტირებული პროდუქტი საცალო სავაჭრო ობიექტებში უკვე გადანაწილებულია.

სააგენტოს სპეციალისტები საცალო ვაჭრობის ობიექტებს ამოწმებენ.

სახიფათო შპროტთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხელ ხაზზე შეუძლიათ ნომერზე: 2 91 91 67 (ინტერპრესნიუსი)

### მაჭახელას ხეობაში ელექტროგადამცემი ხაზების აშენებას აპროტესტებენ



მთავრობასა და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება გარემოს დამცველთა უკმაყოფილების მიზეზი გახდა. მაჭახელას ხეობაში მდებარე ეროვნული პარკის ტერიტორიაზე წლის ბოლოს სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიწყოს – „ენერგო-პრო ჯორჯია“ ადგილზე ელექტროგადამცემი ხაზების აშენებას აპირებს.

საუბარია 40 000 კვადრატული მეტრის ფართობზე, რომელიც კომპანიამ 49-წლიანი სარგებლობის უფლებით იყიდა. გარემოსდამცველი ორგანიზაციები დაცული ტერიტორიის სტატუსის მქონე პარკში დაგეგმილ მშენებლობას საფრთხის შემცველად მიიჩნევენ და აქცენტს იმ უნიკალური სახეობის ფლორაზე აკეთებენ, რომელიც წითელ წიგნშია შეტანილი. (ნიუპოსტი)

### ყარსი-ახალქალაქის რკინიგზაზე მატარებელი წლის ბოლოდან ივლის



საქართველოს ეკონომიკისა და განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზაზე სატესტო მატარებელი 2014 წლის ბოლოდან ივლის, ხოლო 2015 წლის პირველ ნახევარში სრულ მონაკვეთზე იმოძრავებს.

„არის მონაკვეთები, სადაც 80%-ზე მეტი სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია. ხოლო ახალქალაქის სადგურის მშენებლობა საწყის სტადიაზეა. 2015 წლის ბოლოს პროექტი სრულად ჩაბარდება, მაგრამ სატესტო მატარებელი გაცილებით ადრე, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის ივლის გარკვეულ მონაკვეთებში, ხოლო 2015 წლის პირველ ნახევარში მთელ მონაკვეთზე ივლის, უბრალოდ სადგურების მშენებლობას მეტი დრო დასჭირდება“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა. (კვირა)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...



„ჩვენი მიზანია არა ვინმეს დამარცხება, არამედ საქართველოს გამარჯვება“.

ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი



მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

*მეცხრე გვერდიდან*

– რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი არის კანონის ანულირება. პირველ ეტაპზე ეს შეიძლება ქუჩაში აქციით და ლოცვით გამოიხატოს. ასევე ჩვენ გვინდა მოვითხოვოთ, რომ 17 მაისს, ქართული ტრადიციული ოჯახის ხსენების დღე



**„მეუფე იობის წერილი არსებობს განკანონების შესახებ. სასულიერო პირების აზრიც თანდათან მიდის იქით, რომ წმინდა სინოდის წინაშე დადგეს იმ პარლამენტარებისა და პრეზიდენტის განკანონების საკითხი, რომლებმაც ასეთ საშინელ კანონს ხელი მოაწერეს“**

დაწესდეს. როდესაც ეს საზოგადოება ჰომოფობიის დღეს აღნიშნავს, ამის საწინააღმდეგოდ, მათაც, მთელ საზოგადოებასაც და მთელ საქართველოსაც ჩვენ შევახსენებთ ქართული ტრადიციული ოჯახის არსებობის შესახებ. ჩვენი პროტესტის ფორმაც და ჩვენი წუხილიც სწორედ იქიდან გამომდინარეობს, რომ ისინი ქართული ოჯახის სულიერ მხარეს, ზნეობრივ მხარეს ურტყამენ, როდესაც აწესებენ ასეთ გამოსვლებს და შემდეგ, სამწუხაროდ, სულგაყიდული პარლამენტარები ამას აკანონებენ.

**— როგორია თქვენი მრევლის განწყობა? რას ამბობენ, რისკენ მოგიწოდებენ, მამაო?**

– ერთნაირია ჩვენი და მრევლის განწყობა. სასულიერო პირების ძალიან დიდი გამოხმაურება აქვს ამას და ეს მთელმა საქართველომ უნდა იცოდეს. სამღვდელოება, ეკლესია, მრევლი ამას არ შევეგუებით.

**— ეპარქიების განწყობაც ხომ არ იცით?**

– ეპარქიებშიც ანალოგიური სიტუაციაა და მთელ საქართველოშიც. მე ვიცი ეს განწყობა, ეს სულისკვეთება და აქედან გამომდინარე გეუბნებით. საზოგადოება თავის სახეს თვითონ წარმოაჩენს, იქნება ეს სასულიერო, თუ რიგითი საერო პირი.

**— კარგად დავინახეთ, რომ პატრიარქის მოწოდების მიუხედავად, არც ერთ პარლამენტარს მისი პოზიციის გათვალისწინება არ უცდია, თქვენი აზრით, რატომ დადგა პატრიარქის მოწოდებაზე მაღლა ხელისუფლების მოთხოვნა?**

– ეს კითხვა, პირველ რიგში, ალბათ, იმ ხალხს ეკუთვნის, ვინც ასეთი საშინელი გადაწყვეტილება მიიღო. აშკარაა, ეს უცხო ძალების დაკვეთა იყო. ვიზების ლიბერალიზაცია და ასოცირების ხელშეკრულება – აი, დაკვეთა, ამაზე გაიყიდა ჩვენი პარლამენტარების უმრავლესობა.

**— კანონპროექტის განხილვისას, მხარდამჭერების ანათემაზე გადაცემაზე საუბრობდით. ამ საკითხთან დაკავშირებით რა ხდება?**

– მეუფე იობის წერილი არსებობს განკანონების შესახებ. სასულიერო პირების აზრიც თანდათან მიდის იქით, რომ წმინდა სინოდის წინაშე დადგეს იმ პარლამენტარებისა და პრეზიდენტის განკანონების საკითხი, რომლებმაც ასეთ საშინელ კანონს ხელი მოაწერეს.

**— ხომ არ გქონიათ სასულიერო პირებს ერთმანეთში საუბარი, რომ მრევლს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდოთ და ხალხმრავალი აქციებით აიძულოთ ხელისუფლება, კანონი გააუქმოს?**

– პირდაპირ გეუბნებით, არავის მოწოდება საჭირო არაა. პირიქით, მრევლი თვითონ მოგვიწოდებს, რომ ქუჩაში გამოვიდეთ. მთელი საზოგადოებისა და ჩვენი პოზიციები აბსოლუტურ თანხვედრაშია. ნურავინ იფიქრებს,



**„ჩვენ გვინდა დავაწესოთ, რომ 17 მაისს, ქართული ტრადიციული ოჯახის ხსენების დღე დაწესდეს. როდესაც ეს საზოგადოება ჰომოფობიის დღეს აღნიშნავს, ამის საწინააღმდეგოდ, მათაც, მთელ საზოგადოებასაც და მთელ საქართველოსაც ჩვენ შევახსენებთ ქართული ტრადიციული ოჯახის არსებობის შესახებ“**

ვითომ ჩვენ მოვუწოდებთ ან ვავალდებულებთ ხალხს, პირიქით, ისინი გვთხოვენ ამას. ჩვენი პოზიციაც ასეთია. მალე დაინახავთ, რასაც გავაკეთებთ ამ კანონის წინააღმდეგ.

**ეკა ქანიძე**

558 00 16 16

ახალი ამბები... ახალი ამბები... ახალი ამბები...

## თინა ხიდაშელი: 5-იანი დაწყევლილია ქართველი ხალხის მიერ



საპარლამენტო უმრავლესობის წევრ თინა ხიდაშელის განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ ეკუთვნის და დარჩება საარჩევნო ნომრად 5-იანი“.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ წერილი გაგზავნა და პასუხად ერთი ადამიანის პირადი აზრი მიიღო – არ გეკუთვნითო. კომისიის თავმჯდომარეს არ უნდა მიეწერა და უნდა ეთქვა, კომისია იმსჯელებს ამ საკითხზეო, მისი აზრი კანონი არ არის და არც გადაწყვეტილებად ქცევის აბსოლუტური საფუძველი. მას ერთი ხმა აქვს და საკუთარ აზრს გამოხატავს. გეკუთვნით და დაგრჩებათ 5-იანი, პოლიტიკურად ეს ჩვენ გვაწყობს ყველაზე მეტად, ისეთი დაწყევლილია ქართველი ხალხის მიერ ეს ნომერი – იციან, რომ ხელი არასდროს უნდა გაექცეთ მის შემოსახაზად. როგორც მურმანმა თქვა, ხელი გაუხმებათ“, – წერს ხიდაშელი. (ფრონტნიუსი)

## იატაკის საწმენდი ქიმიური საშუალება ქალბატონის გარდაცვალების მიზეზი გახდა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელი ლია ქათამიძე ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. სავარაუდოდ, უბედური შემთხვევის მიზეზი იატაკის საწმენდი ქიმიური საშუალებით ინტოქსიკაციაა.

„ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში ლია ქათამიძე შოკურ მდგომარეობაში მოიყვანეს. მთელ სხეულზე აღენიშნებოდა მრავლობითი სისხლჩაქცევები. გადაყვანილი იქნა მართვით სუნთქვაზე და შუადღისას გარდაიცვალა“, – განაცხადა სამედიცინო ცენტრის კლინიკურმა დირექტორმა დავით მდინარაძემ. მისივე თქმით, სამედიცინო ცენტრში გარდაცვლილის 5 წლის შვილიშვილიც მიიყვანეს, რომელსაც მუცლის ტკივილი და პირღებინება აღენიშნებოდა. მოგვიანებით ბავშვი ბათუმის ბავშვთა საავადმყოფოში გადაიყვანეს. (ნიუპოსტი)

## ირანელებმა თბილისის ბანკში მოქალაქეს თანხა მოჰპარეს



შსს-ს თანამშრომლებმა, ირანის ორი მოქალაქე ქურდობის ბრალდებით დააკავეს. დაკავებულებმა თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, ერთ-ერთ ბანკში მოქალაქეს 3800 ლარი მოჰპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ბრალდებულებმა იმავე დღეს, თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე, ვალუტის გადამცვლელი ერთ-ერთი პუნქტიდან 500 აშშ დოლარი მოიპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა დამნაშავეები თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი საქართველოს ტერიტორიის დატოვებას ცდილობდნენ. მოპარული თანხა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ქურდობის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით) მიმდინარეობს. (თაიმერი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნინო ბურჯანაძე: მოვა დრო და გამოჩნდება, ვისი წარსული უფრო ღირსეულია



ლევან ბერძენიშვილის განცხადებას, რომ მას არ მოსწონს ნინო ბურჯანაძე, როგორც პოლიტიკოსი, კოალიციის ლიდერი გამოეხმაურა. ნინო ბურჯანაძის თქმით, ლევან ბერძენიშვილი და მისი თანაგუნდელები ხვდებიან, რამდენად მძიმე წონის პოლიტიკოსებთან აქვთ საქმე და რომ მან კარგად იცის საკუთარი პოლიტიკური წონის ფასი.

„ძალიან დამავალა ბატონმა ბერძენიშვილმა, რომ მიტანს პოლიტიკაში. სიმართლე გითხრათ, ნაკლებად მაინტერესებს ლევან ბერძენიშვილის აზრი, უფრო მეტად მაინტერესებს იმ ადამიანების აზრი, რომლებიც ახლა ჩემ გვერდით არიან და იმ ათასობით და ათიათასობით ადამიანის აზრი, ვინც მხარს მიჭერდა საპრეზიდენტო არჩევნების დროს და ამით ხაზი გადაუსვეს ლევან ბერძენიშვილისა და მისნაირების აზრს. ეს კომენტარი აჩვენებს სინამდვილეში რამდენად „ტოლერანტული“ და „შემწყნარებელი“ გახლავთ ბატონი ბერძენიშვილი, რომელიც ლაპარაკობს ანტიდისკრიმინაციულ კანონზე, საუბრობს, რომ არავინ არაფრის გამო არ უნდა დაიჩაგროს და ამ დროს მაყვედრის, თურმე ბედნიერი უნდა ვიყო, რომ არ მჩაგრავს ჩემი ოჯახისა და ჩემი მამის გამო. მოვა დრო და ძალიან კარგად გამოჩნდება, ვისი წარსული უფრო ღირსეულია. მისმა კომენტარმა, როდესაც მამა-შვილის ურთიერთობაში ჩაერია, ძალიან ნათლად გვაჩვენა, რა ფასეულობების მატარებელია, რამდენად ფასეულია მისთვის ოჯახური ტრადიციები. ამან კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ის ტოლერანტობა, ლიბერალიზმი, ვითომდა სხვისი უფლებების დაცვა მისთვის და მისი თანაგუნდელებისთვის სხვა არაფერია თუ არა პოლიტიკური ტრიუკი და პოლიტიკური ქულების ჩაწერა“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. (რეპორტიორი)

## გიგი უგულავა დავით უსუფაშვილს „сам дурак“-ს უწოდებს



პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიგი უგულავა პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის იმ განცხადებას ეხმაურება, რომელიც „რუსთავი 2“-ში აღმოჩენილ ფარულ ჩანაწერებს ეხება.

„აბა, აბა, წავიდა сам дурак-ის ძახილი. რა არის საინტერესო!? 2013 წლის ივნისში ვინ იყო პარლამენტის თავმჯდომარე, შს მინისტრი თუ პრემიერ-მინისტრი? თუ თქვენ თან ხართ და არც ხართ? ბატონო დავით! მე არც გიწონებთ ამ განცხადებას და არც გიწუნებთ, მხოლოდ გეუბნებით, რომ თავს იტყუებთ და/ან ხალხს ატყუებთ. თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ ალო! ღარიბაშვილი გისმენთ, გიყურებთ, ამიტომ გაჩუმდით“, – აცხადებს უგულავა. (ნიუპოსტი)

## 26 მაისს სამხედრო აღლუმს საქართველოს პრეზიდენტი ვერ ჩაიბარებს?



დეპუტატი გოგა ხაჩიძე ვარაუდობს, რომ 26 მაისს სამხედრო აღლუმი არ ჩატარდება.

„ბ-ნო პრეზიდენტო! კარგია, რომ პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტში შებრძანდით და იმუშავეთ. მართალია, ამისთვის ორი ქვეყნის პრეზიდენტის ჩამოსვლა გახდა საჭირო, მაგრამ არაუშავს. მესმის, რომ თქვენთვის ადვილი არაა ბიძინა ივანიშვილის ნების წინააღმდეგ წასვლა. ახლა, იქნებ ისიც მოახერხოთ, რომ 26 მაისის სამხედრო აღლუმი ჩაიბაროთ, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა. თუმცა, დიდი და საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ აღლუმს, სწორედ ამ მიზეზის გამო, საერთოდ არ ჩაატარებენ, ან თუ ჩაატარებენ, ისეთი ფორმით, რომ თქვენი გამოჩენა საჭირო არ გახდეს. ყოველ შემთხვევაში, მე როგორც ერთი მოქალაქე და პარლამენტის წევრი, ვგულშემატკივრობ ზ.ა. საკითხს“, – წერს „ფეისბუკის“ პირად გვერდზე გოგა ხაჩიძე. (თაიმერი)

## აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი საავადმყოფოშია

აფხაზური მედიის ცნობით, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი საზოგადოების წარმომადგენლებს ხვდებოდა, როდესაც ცუდად გახდა. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ანქვაბი კარდიოლოგიურ განყოფილებაში გადაიყვანა. მედიკოსების განმარტებით, პაციენტს ჰქონდა ჰიპერტონიული კრიზი, რომელიც პროფესიონალურ სამედიცინო ჩარევას და ექიმის რეკომენდაციების ზედმიწევნით შესრულებას მოითხოვს. (თაიმერი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

**„ამჯერად თქვენი იმედი არ გაცრუვდება, მოქალაქეობრივი ღირსება არ შეილახება. ჩვენ თქვენს გვერდით ვიქნებით ბოლომდე. და დღეს, აქ, საზეიმოდ, მე გპირდებით, რომ ბოლომდე ვიბრძოლებ თქვენთან ერთად, რათა ყველამ ერთად ავიხდინოთ ჩვენი ოცნება!“**

41

**ბიძინა ივანიშვილი 2012, 27 მაისი**

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...



# კულტურის სამინისტროდან „საყდრისის“ მხარდამჭერ თანამშრომლებს ათავისუფლებენ?

**ამ ბოლო დროს მიმდინარე ცხელ თემებში, ე.წ. „ჰოთ ნიუსებში“ ერთ-ერთ უცხელესად საყდრისის საკითხი მოიაზრება. 7 მაისს საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტის საჯარო შეკრება გაიმართა, სადაც განიხილეს საყდრისის ირგვლივ შექმნილი სიტუაცია და კომიტეტის სამომავლო გეგმები. კომიტეტის წევრების განცხადებით, ისინი გეგმავენ კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრას.**

**„ალიას“ ესაუბრება საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წევრი, ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი:**

– უცხოეთიდან ჩამოსული ქართულ-გერმანული ექსპედიციის ორი ექსპერტი ჩვენს მეცნიერებთან – ირინე ღამბაშიძესთან, გოგი გოგოჭურთან და გოგი მინდიაშვილთან ერთად 8 ან 9 მაისს ჩავლენ საყდრისში. ეს ყოფილა თავად უცხოელების იდეა, მაგრამ ეს ორი უცხოელი ვინ ჩამოიყვანა, სახელმწიფომ, ძეგლთა დაცვის სააგენტომ თუ „არ-ემ-ჯი გოლდ“-მა, ეს ინფორმაცია ჩვენთვის არ არის ცნობილი, რადგანაც ინფორმაცია არ არის გამჭვირვალე. ამიტომ ბევრი კითხვის ნიშანი ახლავს პროცესს, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ორი დღის წინ იყვნენ საყდრისში ჩამოსულები, რასაც ძეგლთა დაცვის სააგენტო კატეგორიულად უარყოფს. საქმე ისაა, რომ ამ უცხოელმა ექსპერტებმა ქართველ არქეოლოგებს უთხრეს, რასაც თქვენ ლაპარაკობთ ამ ძეგლის მნიშვნელობაზე, მსგავსი არაფერი გვინახავსო. ეს, ალბათ, თქვეს იმიტომ, რომ „არ-ემ-ჯი გოლდ“-იდან დაჰყვებოდნენ. დურბინდით ვუყურებდით ჩვენი კოშკურიდან და ვხედავდით, პირადად, მეც და ჩემი მეგობრებიც, როგორ დაატარებდნენ იქ მათ დაახლოებით სამი საათის მანძილზე.

— **ამბობთ, უცხოელებთან უამრავი კითხვის ნიშანიაო და რას გულისხმობთ?**

– კი, ნამდვილად არის ასე, რადგანაც გურამ ოდიშარია, რომელიც მინისტრია და რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო, ხომ? გარედან რომ უყურებ, ისე ჩანს, რომ მინისტრი ცალკეა და ნიკა ანთაძე კი, რასაც უნდა, იმას აკეთებს. მიდიხარ მინისტრთან, არ გხვდება, კითხვას დაუსვამს ჟურნალისტი და ანთიძესთან გადაამისამართებს, ანთიძე კი პროცესებს უძლვება ისე, რომ ბევრ კითხვის ნიშანს ტოვებს. რადგანაც, ვიმეორებ, პროცესები არ არის გამჭვირვალე. ეგება და გადასარევი ხალხი ჩამოიყვანეს, ჩვენ რა ვიცით, ხომ უნდა გავიგოთ? ამ მეცნიერებიდან ერთი ბულგარელია და მეორე გერმანელი, ერთი გეოლოგია და მეორე სამთო არქეოლოგი. კაცმა არ იცის, რა ნიშნით შეირჩა ეს ხალხი. უცხოელები ქართველ არქეოლოგებთან ერთად ჩამოვლენ ხელმეორედ ადგილზე და ეს ძალიან კარგია, რადგანაც ამ დღეებში ჩვენც იქ ვიქნებით, ჟურნალისტებიც და გადარჩენის კომიტეტიც 8 მაისს დილის 9 საათზე ციხეებთან ვიკრიბებით და ყველანი მივდივართ საყდრისში. ველოდებით ყოველ წამს უწმინდესთან შეხვედრას, რადგანაც არ ვიცით, როდის დაგვინიშნავენ შეხვედრის დროს. გვინდა შევხვდეთ ჩვენს სულიერ მამას, წინამძღოლს, ეგებადა უკეთეს გზაზე დაგვაყენოს, ან რჩევა მოგვცეს, ეგება რაღაცას შეცდომით ვაკეთებთ. ვნახოთ, რა იქნება.

საერთოდ, როცა ვიკრიბებით, მოსაზრებები უამრავია და ამაზე ვკამათობთ, ხან ვჩხუბობთ ხოლმე და ბოლოს მივდივართ ერთ აზრამდე.



**„უცხოელმა ექსპერტებმა ქართველ არქეოლოგებს უთხრეს, რასაც თქვენ ლაპარაკობთ ამ ძეგლის მნიშვნელობაზე, მსგავსი არაფერი გვინახავსო... დურბინდით ვუყურებდით ჩვენი კოშკურიდან და ვხედავდით, პირადად, მეც და ჩემი მეგობრებიც, როგორ დაატარებდნენ მათ იქ დაახლოებით სამი საათის მანძილზე“**

*გაგრძელება მეთორმეტე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უდიპლომო დეპუტატებიც გვყოლია?!



საქართველოს პარლამენტში დეპუტატთა ყველაზე დიდი რაოდენობა სამართალმცოდნეობის სპეციალისტია. დეპუტატების განათლების შესახებ ინფორმაციას „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) პარლამენტის აპარატიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე ავრცელებს. განათლების მიმართულებების მიხედვით, პროპორციული გათვლით, საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის მკვეთრად გამოხატული განსხვავება არ არის. დეპუტატთა უმრავლესობამ განათლება საქართველოში, სხვადასხვა სახელმწიფო სასწავლებელში მიიღო. მხოლოდ ხუთ დეპუტატს აქვს საზღვარგარეთ განათლება მიღებული (იგულისხმება სწავლების სრული კურსის გავლა, რომელიც დასტურდება აკადემიური ხარისხის დიპლომის მინიჭებით და არა მოკლეხნიანი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები).

პარლამენტის აპარატის მიერ IDFI-სთვის მიწოდებულ დეპუტატთა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლებში პარლამენტის 5 წევრის დიპლომის ასლი არ აღმოჩნდა. ესენი არიან: გიორგი გაბაშვილი, ლევან ქარდავა, გიორგი ქავთარაძე, რევაზ შავლოხაშვილი და ნუგზარ წიკლაური. აღნიშნული დეპუტატები საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდის მონაცემებით შემდეგ სპეციალობებს ფლობენ: გაბაშვილი გიორგი – გერმანული ენა-ლიტერატურა; ქარდავა ლევან – სამართალმცოდნეობა; ქავთარაძე გიორგი – დრამის რეჟისორი; შავლოხაშვილი რევაზი – თვითმფრინავთმშენებლობა, წიკლაური ნუგზარი – ქართული ენა და ლიტერატურა.

როგორც პარლამენტის აპარატის დოკუმენტაციიდან ირკვევა, საქართველოს 49 დეპუტატი, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარე, ფლობს იურისტის დიპლომს, 26 პარლამენტარი ეკონომისტია, 14 – ექიმი.

19 დეპუტატს განათლება ინჟინერიის მიმართულებით აქვს მიღებული, 13-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 6 დეპუტატი კი აგრონომიისა და სასურსათო ტექნოლოგიის სპეციალისტია. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის 150 წევრიდან 19 ფლობს ერთდროულად ორ, 5 კი – სამ სპეციალობას. ამასთანავე, საკანონმდებლო ორგანოს წევრთაგან მაგისტრზე მაღალ ხარისხს სულ 25 დეპუტატი ფლობს. ამათგან 17 მეცნიერებათა კანდიდატია, 8 – დოქტორი, 5 – პროფესორი, 1 – აკადემიკოსი, 1 მეცნიერებათა აკადემიის ასოცირებული წევრ-კორესპონდენტი, ასევე ერთი – საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

IDFI-ის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტში 7 ისტორიკოსი, 2 ფილოსოფოსი და 12 ფილოლოგია წარმოდგენილი (მათ შორის 6 ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, სამ-სამი კი გერმანული და ინგლისური ენა-ლიტერატურის).

ამასთანავე, საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილია: 2 პოლიტიკის მეცნიერების, 3 სახელმწიფო მმართველობის, 2 საერთაშორისო ურთიერთობების და 1 მშვიდობისა და უსაფრთხოების კვლევის სპეციალისტი. სამი დეპუტატი ფლობს ჟურნალისტის დიპლომს. ასევე, სამს აქვს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტის კვალიფიკაცია, ერთს სამხედრო-პოლიტიკური, ერთი დეპუტატი კი ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების განათლებითაა. პარლამენტში თეატრალური და სახვითი ხელოვნებების დარგების სპეციალისტებსაც შევხვდებით, რომელთა რაოდენობა ათს შეადგენს.

ზემოხსენებული სპეციალობების გარდა, საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია სხვა დარგებიც, მაგალითად: აღმოსავლეთმცოდნეობა (3), ფსიქოლოგია (1), ღვთისმეტყველება (1), არქიტექტურა (1). (კვირა)

## ეკლესიის მშენებლობისას დაშავებულები რიჩარდ ნორლანდმა მოინახულა



ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში ეკლესიის გუმბათის ჩამონგრევის შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა. ნანგრევებში სულ ოთხი ადამიანი მოყვა. ორი მათგანი მძიმე დაზიანებებით სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა საავადმყოფოში გადაიყვანა. ეკლესიის მშენებლობაზე დასაქმებული ადამიანები ადგილობრივები არ არიან.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

დაშავებულები ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, რიჩარდ ნორლანდმა მოინახულა.

ელჩმა შემთხვევის შედეგად ორი ადამიანის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვა. ელჩის თქმით, ხვალ ამერიკის საზღვაო ძალების ხომალდი შემოდის ბათუმში და თუ საჭირო იქნება, ხომალდის ექიმები დაეხმარებოდნენ, თუმცა, როგორც რიჩარდ ნორლანდმა განმარტა, ადგილობრივი ხელისუფლება სათანადოდ ზრუნავს დაშავებულებზე.

„მინდა გამოვხატო ჩემი მწუხარება იმ ორი ადამიანის გარდაცვალების გამო, რომლებიც ეკლესიის მშენებლობის დროს დაიღუპნენ. მე და ჩემი მეუღლე ვიმყოფებით ბათუმში, ხვალ ვმასპინძლობთ ბათუმში ამერიკის საზღვაო ძალების გემს, მაგრამ, როგორც კი გავიგეთ ამ ტრაგედიის შესახებ, გადავწყვიტეთ მოვსულიყავით საავადმყოფოში და შეგვეთავაზებინა რაიმე ფორმის დახმარება, თუ იქნებოდა ამის საჭიროება, ვინაიდან გემს ეყოლება ექიმები. თუმცა ჩანს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება კარგად უმკლავდება ვითარებას. შეგვიძლია მორალური მხარდაჭერა გამოვთქვათ და კიდევ ერთხელ მივუსამძიმროთ დაღუპულთა ოჯახებს“, – აღნიშნა ნორლანდმა. (ნიუპოსტი)

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

5

**„მასმედიის დიდი ნაწილი ხელისუფლების მორჩილებასა და საზოგადოების დეზინფორმაციაზეა ორიენტირებული. სამოქალაქო საზოგადოებას უკიდურესად შეზღუდული აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ობიექტური ინფორმაცია“.**

41

**ბიძინა ივანიშვილი 2011 წელი, 11 დეკემბერი**

მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს... მოგვატყუეს...

*მეთერთმეტე გვერდიდან*

**— რა ხდება ამ წუთებში საყდრისში, ხომ არ იცით?**

– 7 მაისს 4 საათზე, ანუ ერთი საათის წინ იქ შეწყდა სამუშაოები, მათ მოტანილი ჰქონდათ ელექტროხერხი და მწვანე საფარი რაც დარჩა საყდრისზე, იმას ჭრიდნენ. უბრალოდ, წვიმა წამოვიდა და იმიტომ შეწყვიტეს სამუშაო. მძიმე ტექნიკა კი გაყვანილი ჰყავთ, თუმცა, არ ვიცით, რატომ. სავარაუდოდ, სხვა ეტაპზე გადადიან და მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებენ.



**„გურამ ოდიშარია, რომელიც მინისტრია და რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო, გარედან რომ უყურებ, ისე ჩანს, რომ მინისტრი ცალკეა და ნიკა ანთაძე კი, რასაც უნდა, იმას აკეთებს“**

**— ამასობაში კულუარებში რა ხდება, იცით?**

– ჩვენამდე ასეთი ინფორმაციაა მოსული, რომ საყდრისის გულშემატკივრებს, ვინც არიან კულტურის სამინისტროში, აიძულებენ, წავიდნენ თანამდებობიდან. სამწუხაროდ, მათი ნებართვის გარეშე მათ ვერ ვასახელებ, თუმცა ყველას სახელი და გვარი ვიცი. აი, თქვენ გითხარით მარტო ამის შესახებ. ისინი როცა საჭიროდ ჩათვლიან, თავად გააკეთებენ განცხადებას.

**— და ვინ აკეთებს ამას, ოდიშარია?**

– არა, მინისტრი არა, მაგრამ იქაური დიდი თანამდებობის პირები და, ბოდიშს გიხდით, ეს მათ უნდა თქვან, იქაურმა თანამშრომლებმა. კიდევ ერთხელ მილიონ ბოდიშს გიხდით, რომ ვერ ვასახელებ კონკრეტულ გვარებს.

**— მართალია, რომ საყდრისის გულშემატკივრებში შემთხვევითი ხალხიც არის?**

– ერთი კაცი ტყიბულიდან ჩამოვიდა, ზოგი თბილისიდან ჩამოდის, ზოგი – გორიდან, ეს ის ხალხია, ვინც ამის შესახებ მედიის საშუალებით იგებს. ერთი ისეთიც იყო, რომელსაც ეგონა, რომ ტაძარს ანგრევდნენ და მერე სიმართლე რომ გაიგო, რამდენიმე დღეში დაბრუნდა თავის სახლში.

**— კომპანიის წარმომადგენლებს ხვდებით?**

– ჩვენ შეხება გვაქვს, ხშირად ვსაუბრობთ და რატომ, გეტყვით: მათ ჰქვია უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც სულ დაგვყვებიან მანქანით და გვეუბნებიან, ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ გველმა არ გიკბინოთო.

**— სწორად იქცევიან, რა გინდათ? ხომ არ იგეგმება პრეზიდენტთან შეხვედრა?**

– ამაზეც იყო მსჯელობა და ეს საუბარი კიდევ გაგრძელდება. ეს ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

**— უახლოესი გეგმები რა გაქვთ?**

– აქციები საყდრისის დასაცავად გაგრძელდება, ჩვენ ვიბრძოლებთ მშვიდობიანი სამართლებრივი ფორმებით, რადგანაც არსებობს პროტესტის სხვადასხვა ფორმა და, თუ საჭირო გახდა, უკიდურეს ფორმასაც გამოვიყენებთ. „საიამ“ უნდა შეიტანოს სასამართლოში სარჩელი.



**„საყდრისის გულშემატკივრებს, ვინც არიან კულტურის სამინისტროში, აიძულებენ, წავიდნენ თანამდებობიდან. სამწუხაროდ, მათი ნებართვის გარეშე მათ ვერ ვასახელებ, თუმცა ყველას სახელი და გვარი ვიცი“**

რადგანაც საკმაო ბრალდებებია კულტურის სამინისტროს მიმართ, კომენტარისთვის პირველად კულტურულ ძეგლთა დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელს, ნიკოლოზ ანთიძეს ვუკავშირდებით: „ძალიან არასერიოზული განცხადებაა ჩვენს შესახებ. თანამშრომლების შესახებ მე ნამდვილად არ ვფლობ ინფორმაციას, თუ ვინმე ზეწოლას განიცდის, მაშინ თვითონ გამოვიდნენ და თქვან, არ ვართ ამჟამად იმ სახელმწიფოში, რომ ვინმე ზეწოლას განიცდიდეს და ეს ფაქტი დამალული იყოს. ეს არის თითიდან გამოწოვილი ფაქტი, თუ არ გამოვა ვინმე და არ იტყვის ამის შესახებ. მე, პირადად, არ მინახავს პირი, რომელსაც ეთქვა, რომ ზეწოლას განვიცდიო. საყდრისის თემა კი არის ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი, სადაც პიროვნებებს უნდათ თავის წარმოჩენა. ნინო მიქიაშვილი არ იყო ის პიროვნება, ვინც ამბობდა, რომ სვანეთის მუზეუმი რად კეთდება, იქიდან თქვენ ექსპონატების წაღება გინდათო? მიქიაშვილმა არ ატეხა ჭიქაში ქარიშხალი, როცა ამბობდა, რომ ეროვნული მუზეუმიდან ნივთები გადისო და უკან არ ბრუნდებაო და შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ტყუილი ყოფილა“.

ამის შემდეგ უკვე ვუკავშირდებით „არ-ემ-ჯი გოლდ“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს ეკა ჯოჯუას: „უცხოელი ექსპერტების ჩამოყვანა თავიდან ბოლომდე არის კულტურის სამინისტროსა და სააგენტოს პრეროგატივა, მათ ჩამოიყვანეს ეს ადამიანები და როგორც ანთიძე ამბობს, მათ ექსპერტებს მათ კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმში ეჭვი არ შეაქვთ. რაც შეეხება „საიასა“ და კოჟორიძის თემას, როგორც ცნობილი გახდა, კახა კოჟორიძემ მიიღო მთავრობიდან პასუხი, სადაც ნათქვამია, რომ მისი, როგორც ფიზიკური პირის, საჩივარი განუხილველი დარჩა, რადგანაც ის არ არის უფლებამოსილი პირი, იდაოს ამ საკითხზე“.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრემიერმა თურქეთის პრეზიდენტთან სამუშაო სადილი გამართა



ირაკლი ღარიბაშვილმა და აბდულა გიულიმ ორი ქვეყნის ურთიერთობების საკითხები განიხილეს და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები დასახეს.

საქართველოს მთავრობის მეთაურის განცხადებით, საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას თურქეთთან, რომელსაც განიხილავს, როგორც საიმედო მოკავშირეს და სტრატეგიულ პარტნიორს. პრემიერმა კმაყოფილება გამოთქვა ვიზიტების ურთიერთგაცვლის აქტიური დინამიკის გამო.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე და აღინიშნა, რომ თურქეთი საქართველოს ნომერი პირველი სავაჭრო პარტნიორია. გამოითქვა იმედი, რომ საქართველო სათანადოდ წარმოაჩენს ახალ შესაძლებლობებს, რა მიზნითაც შექმნილია საქართველოს თანაინვესტირების ფონდი და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი.

სამუშაო სადილს თურქეთის დელეგაცია და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები დაესწრნენ. (თაიმერი)

## ვინ დაიწყო ომი გარკვეულია,ვინ წააგო — გაურკვეველი?!



საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს კვლევა დასრულებული აქვს, თუმცა გარკვეული საკითხები ზუსტდება.

„ვინ დაიწყო ომი – ეს თემა დახურულია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. ომი დაიწყო რუსეთის ფედერაციამ, როდესაც წაახალისა ჩვენი სოფლების დაბომბვა სეპარატისტული რეჟიმის სამხედრო დაჯგუფებების მიერ. აქედან გამომდინარე, ეს კითხვა არ დგას. ომი რუსეთის ფედერაციამ დაიწყო და დღესაც გრძელდება ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ეს არ არის გამოძიება, ეს არის კვლევა. ეს მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო-ოპერატიულ და სამხედრო-ტაქტიკურ საკითხებს ეხება, თუ როგორ აწარმოა საქართველომ თავდაცვითი ომი, რა შეცდომები დაუშვა. ფაქტია, რომ უამრავი შეცდომა იქნა დაშვებული. ეს ერთი მიზნისთვის კეთდება – ჩვენი თავდაცვითი დოქტრინა და მომავალი ჯარისკაცების სახელმძღვანელო იყოს სწორედ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობილი, რათა მომავალ ბრძოლებში ჩვენ იგივე შეცდომები არ დავუშვათ. რაც შეეხება კონკრეტული სამხედრო თუ სამხედრო-პოლიტიკური ლიდერების პასუხისმგებლობის საკითხს, ეს ამ კვლევის საგანი არ არის. ეს კვლევა დასრულებულია და გენერალურმა შტაბმა აპრილის ბოლოს წარმომიდგინა. ჩვენ გარკვეული კითხვებით უკან დავუბრუნეთ, რადგან მგონია, რომ კიდევ დარჩა რიგ საკითხებზე პასუხები გასაცემი. როგორც კი სრულად იქნება წარმოდგენილი, ამის შემდეგ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, პრემიერ-მინისტრს, უსაფრთხოების საბჭოს წევრებს გავაცნობთ იმ ნაწილს, რისი ცოდნაც აუცილებელია“. – განაცხადა ალასანიამ.

მინისტრის თქმით, კვლევის მხოლოდ ზოგადი ნაწილი გასაჯაროვდება, სადაც იქნება საუბარი იმაზე, რა საკითხები იქნა შესწავლილი, როგორი დასკვნები გაკეთდა და ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად რა ღონისძიებები გატარდა. (ფრონტნიუსი)

## ლევან მამალაძემ „ფაშა“ არ ვიყავიო?!



ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის, ლევან მამალაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაიწყო, სიმართლის დამტკიცების საშუალება არ ეძლევა.

„ყოფილმა ხელისუფლებამ ჩემგან მონსტრი შექმნა, ნებისმიერი ადამიანი რომ გააჩერო და ჩემზე ჰკითხოთ – მაშინვე ოქროსა და ნიანგების ასოციაცია გაუჩნდება. ყველაფერი გავაკეთე, რომ საზოგადოებისთვის სიმართლე მიმეწოდებინა. ქვეყანაში, ჩემი დაკვირვებით სამართალი მიმდინარეობს მხოლოდ სააკაშვილის მიმართ. არ შეიძლება მიხეილ სააკაშვილის პერიოდში დაბრუნება!“ – განაცხადა ლევან მამალაძემ.

ლევან მამალაძის ადვოკატის, მამუკა ნოზაძის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია მიმდინარეობს:

„ლევან მამალაძის წინააღმდეგ მიმდინარეობს მიზანმიმართული ცილისმწამებლური კამპანია. ვფიქრობ, ბევრმა ჟურნალისტმა არ იცის ლევან მამალაძის საქმის რეალური დეტალები, ისინი წინა ხელისუფლების მიერ შეთხზულ მითებზე დაყრდნობით წერენ და საუბრობენ. მინდა მათ ვუთხრა, რომ ლევან მამალაძეს არანაირ ოქროსთან მიმართებაში ბრალი წაყენებული არ აქვს, შესაბამისად, ის ოქროს მითვისებასთან დაკავშირებით არ არის ბრალდებული. მას ადანაშაულებენ ქრთამის აღებაში, რომლის გამამყარებელი არანაირი მტკიცებულება არ არსებობს“, – განაცხადა მამუკა ნოზაძემ. (რეპორტიორი)

## ქრთამის აღების ფაქტზე საჯარო მოხელე დააკავეს

აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი გურამ სალაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გურამ სალაძემ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას მოქალაქე რეზო მ-ს ნათესავისთვის საქართველოში მუშაობის ამსახველი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობის მიცემას დაჰპირდა, რომელიც მას რუსეთის ფედერაციაში პენსიის დასანიშნად სჭირდებოდა. აღნიშნული ცნობის სანაცვლოდ კი, ქრთამის სახით, გურამ ს-მ მოითხოვა და გამოართვა 300 ლარი. სამართალდამცველებმა იგი თანხის აღების დროს დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 6-დან 9 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# ეკა ბესელია: „თუ ჩემი რწმენა და ვალდებულება ერთმანეთს დაეჯახება, წავალ თანამდებობიდანაც და არ გამიჭირდება უარის თქმა მანდატზეც“

**„ალიას“ მკითხველი სამშაბათის და ოთხშაბათის ნომრების სპეციფიურობას, ალბათ, ადვილად შეამჩნევდა — „ქუდის“ გვერდზე „ქართული ოცნების“ ნეკროლოგი დევს, მე-3 გვერდზე კი „ალიას“ ფინანსურად განადგურების მცდელობის მოკლე აღწერილობა: უზენაესმა სასამართლომ „ნაციონალების“ თავგადაკლული მხარდამჭერის, ოთარ კობერიძის სასარგებლოდ 50 000, ხოლო მარკეტ „ფრისკოში“ ნაყიდ აყროლებულ ქათამზე დაწერილი სტატიის გამო 6 500 ლარის გადახდა დაგვაკისრა.**

**ვინ-ვინ, მაგრამ ეკა ბესელიასგან ნამდვილად გულსატკენია, რომ ინტერვიუს მანძილზე საერთოდ არ დაინტერესებულა, არც ჯარიმებით, არც იმით, რატომ მოგვიკვდა „ქართული ოცნება“. არადა სააკაშვილს რეჟიმის დროს ულალატო თანამებრძოლები ვიყავით...**

ახლა, რაც შეეხება თემას...

რამდენიმე დღის წინ ეკა ბესელიამ ერთ-ერთ სატელევიზიო კომენტარში განაცხადა, ოდნავადაც რომ მეგრძნო ამ ანტიდისკრიმინაციულ კანონში რაიმე ამორალური, ხმას არ მივცემდიო. 6 მაისს, გიორგობას კი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება ასე შეაფასა: „როგორ შეიძლება უკანონობა დააკანონო. უკანონობის დაკანონება დიდი ცოდვაა და სწორედ ამის შესახებ ვთქვი მე და რომ არ მეთქვა, ის იქნებოდა გასაკვირი და საოცარი. მე ვალდებული ვარ, უნდა ვთქვა. არც ერთი მორწმუნე ადამიანი არ მიიღებს ასეთ კანონს. მე მინდა ვთქვა, რომ გავა დრო, როცა ჩვენ თვითონ გაგვიკვირდება, როგორ იყო მიღებული ეს კანონი. მე შევთხოვე უფალს, რომ უფალმა შეგვინდოს შეცოდებანი ჩვენი, ნებით და უნებლიეთ. ღმერთი მოწყალეა და ღმერთი გვაპატიებს ჩვენს ცოდვებს“.

**„ალიას“ ესაუბრება პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ეკა ბესელია:**

**— ქალბატონო ეკა, განაცხადეთ, ანტიდისკრიმინაციულ კანონში რაიმე ამორალური რომ მეგრძნო, ხმას არ მივცემდიო. პატრიარქის რადიკალური განცხადება გეცოდინებათ...**

– პატრიარქმა თქვა, რაც თქვა და მე თავს უფლებას არ მივცემ, შევიდე განსჯაში. ვიღებ ისე, როგორც თქვა. პატრიარქმა მითხრა, როცა ვესაუბრე, რომ ზოგჯერ სახელმწიფო იფიქრებს განსხვავებულად, ზოგჯერ არ დაემთხვევა ჩვენი მოსაზრება, მაგრამ ეს ცუდი არაა, ეს თქვენ დაგეხმარებათო. მე მას ხშირად ვესაუბრები და ეს ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა. ამ დღეებშიც ვესაუბრე. 6 მაისს ვნახე და ასევე, ვუამბე, რა შევცვალეთ კანონში.

ახლა სწორედ ეს მინდა, რომ ეს იცოდეს საზოგადოებამ. მე როგორც იურისტს, მიმაჩნია, რომ კანონის საბოლოო რედაქციაში არაფერი საფრთხის შემცველი და სახელმწიფოსთვის ან რელიგიისთვის პრობლემის შემქმნელი არ არის, ჩვენ შევცვალეთ რამდენიმე ნორმა. ამოვიღეთ სფეროების ჩამონათვალი, ბუნდოვანი ნორმები, ჩავწერეთ კანონში, რომ დისკრიმინაციად არ ჩაითვლება შეზღუდვა, თუ ვინმეს უფლება ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ზნეობას. ზნეობის შემოტანა ამ კანონში არის ყველაფრის დამაბალანსებელი და გამაწონასწორებელი. არ იყო იოლი ამ ცნების შემოტანა, მაგრამ მადლობა კოლეგებს, რომ ამას მხარი დაუჭირეს.

კანონში ჩავწერეთ, რომ აღიარებულია მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი და კონკორდატი. ეს ჩანაწერი უკვე ნიშნავს, რომ მართლმადიდებლობა აღიარებულია სახელმწიფო რელიგიად. ასევე, დავამატე ბოლო მოსმენაზე, რომ ამ კანონის არც ერთი ნორმა არ შეიძლება იყოს, განმარტებული რელიგიის თავისუფლების საწინააღმდეგოდ, მათ შორის არ შეიძლება, ხელი შეეშალოს საღვთო მსახურებას. ეს ბოლო სიტყვები სასულიერო პირების თხოვნით დაემატა. საბოლოოდ, როგორც კანონმდებელი და იურისტი, განვმარტავ, რომ ამ კანონით და ბოლო ცვლილებებით ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რომ კონსენსუსი ყოფილიყო მიღწეული და კანონი ყოფილიყო საზოგადოებრივი თანხმობის შედეგი. მიუხედავად ამ ცვლილებებისა, თხოვნა, რომ ამოღებულიყო ჩამონათვალიდან „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“, ვერ მოხერხდა. ძველ კანონებშიც არსებობს ჩანაწერი. მინდა პირდაპირ ვთქვა, სექსუალური ორიენტაცია არ ნიშნავს სექსუალურ უმცირესობას მხოლოდ. ეს ეწერება თუ არა ჩამონათვალში, ხომ მაინც იგულისხმება? არ არსებობს იურისტი, ვინც ეს არ იცის. ამიტომ ვამბობ შედეგის თვალსაზრისით, არაფერი იცვლებოდა, უბრალოდ არ გააღიზიანებდა იმათ, ვინც კანონს პირდაპირ კითხულობს. ხომ ვერ იტყვის სახელმწიფო, რომ ადამიანი უნდა დაჩაგრო სექსუალური ორიენტაციის გამო? აბა, სხვა რამე კი არ წერია ამ კანონში. გული მწყდება და ძალიან განვიცადე, რომ არ აღმოჩნდა საკმარისი დრო და ვითარება, რომ ბოლო ეტაპზეც ყოფილიყო მეტი კომუნიკაცია და ერთობლივი სამუშაო პროცესი საპატრიარქოსთან, რათა ეს დეტალები კარგად აგვეხსნა.

იმის გამო, რომ 15 მაისს წყვეტს პარლამენტი მუშაობას და ივნისში უკვე დაგეგმილია ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ევროპასთან უვიზო რეჟიმის მხარდაჭერისთვის, დრო შეიზღუდა საკანონმდებლო მუშაობისთვის. ამიტომ ვერ გადაიდო კანონი და ამის გამო ძალიან ვწუხვარ. იქნებ მეტი კონსულტაცია ყოფილიყო საკმარისი, რომ ეს ნორმები კარგად აგვეხსნა და ბოლო ცვლილებებიც ისე მივიღეთ, რომ პატრიარქი არ იყო საქართველოში. რომ ჩამობრძანდა, გუშინ კი ვესაუბრე და ვუთხარი, რაც შევცვალეთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ კანონი უნდა იყოს მაქსიმალური თანხმობის პროდუქტი და გული მწყდება, რომ საბოლოო სახე, რაც მიიღო კანონმა განსაკუთრებით მასში ზნეობის ჩანაწერის შეტანით, არ უნდა ყოფილიყო ეკლესიის გულისტკივილის მიზეზი.

**— პატრიარქმა პირდაპირ თქვა, თქვა, არც ერთი მორწმუნე ადამიანი არ მიიღებს ასეთ კანონს. ამაზე რას იტყვით?**

– რაც შეეხება ჩემს მორწმუნეობას, 17 წელია, ვარ ჯვრის მონატრის მრევლი და მყავს მოძღვარი მამა კონსტანტინე, რომლისაც უზომოდ მჯერა. მან ზუსტად გაიგო, რაც ხდებოდა. თუ ჩემი რწმენა და ვალდებულება ერთმანეთს დაეჯახება, წავალ თანამდებობიდანაც და არ გამიჭირდება უარის თქმა მანდატზეც...

იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა კანონის მიღებამდე განაცხადა: „...ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ შეწყდეს ჩვენი საზოგადოების ყველაზე პატივსაცემი პირის კათოლიკოს-პატრიარქის ნერვიულობა, მისი სახელის მოხსენება იქ, სადაც სულ სხვა ტიპის საკითხები იხილება. დღეს ეკლესია და სახელმწიფო ქვეყნისთვის სასიცოცხლო საკითხებში ერთსულოვანნი არიან“.

გვაინტერესებდა, რას იტყოდა ქალბატონი წულუკიანი ამ საკითხზე, პატრიარქის განცხადების შემდეგ, მაგრამ მან არც ჩვენს ზარებს უპასუხა და არც „მესიჯებს“.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „არასაპარლამენტო ოპოზიციამ“ კანდიდატები წარადგინა



„არასაპარლამენტო ოპოზიციამ“ საარჩევნო პროგრამისა და კანდიდატთა ნაწილის პრეზენტაცია გამართა.

თბილისის მერობისთვის „არასაპარლამენტო ოპოზიციიდან“ კახა კუკავა იბრძოლებს. თბილისის მერობის კანდიდატის განცხადებით, „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ პროგრამა 4 ბლოკისგან შედგება. ესენია: დასაქმება და ეკონომიკური განვითარება; ქალაქის განვითარება; თბილისის ბიუჯეტის სოციალური ხარჯები; გრძელვადიანი ვალდებულებები – ეს ბლოკი მოიცავს საკითხებს, რომლებიც უშუალოდ არ შედის თვითმმართველობის კომპეტენციაში, თუმცა „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ მათი გადაწყვეტისთვის იბრძოლებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ წარადგინა ბლოკის მერობის კანდიდატები:

ქუთაისი – მაგდა გაბრიჩიძე;
ზუგდიდი – ირაკლი ღურწკაია;
თელავი – გიორგი მოსიაშვილი;
რუსთავი – ალექსანდრე ბერიძე;
ახალციხე – ნატალი სისვაძე.

თბილისის 12 მაჟორიტარული ოლქის მაჟორიტარი კანდიდატები არიან:

დელისი – ლაშა ჩხარტიშვილი;
კრწანისი – ერიმეა ბერიშვილი;
ავლაბარი – როლანდ ბერიძე;
ვაზისუბანი – რამაზ ცატავა;
ვარკეთილი – დოდო ჭელიძე;
ჩუღურეთი – დავით შვანგირაძე;
დიდუბე – მანანა ნაჭყებია;
დიღმის მასივი – გიორგი თავდგირიძე;
ლოტკინი – ფრიდონ ჩიღუნაძე;
ნაძალადევი – ნინო სირბილაძე;
სანზონა – გელა კეტაშვილი;
მუხიანი – ავთანდილ სულაქველიძე;
გლდანის კენტები – ლევან კალანდაძე. (რეპორტიორი)

## „როდის გაჩერდება ეშმაკის ბორბალი?“ — ბაკურ სვანიძის პასუხი ნანუკა ჟორჟოლიანს



„რუსთავი 2“-ის გასართობი დეპარტამენტის ყოფილი მთავარი პროდიუსერი ბაკურ სვანიძე, ბიზნესმენ დავით კოდუას ცემის ფაქტთან დაკავშირებით ჟურნალისტ ნანუკა ჟორჟოლიანის განცხადებას პასუხობს, სადაც ჟურნალისტი ამბობს: „ხალხო, ასე არ შეიძლება. ეს არის ეშმაკის ბორბალი და ის უნდა შეჩერდეს. თორემ ეს ცუდი იქნება ჩვენი შვილებისთვის!“

„ნანუკა, გენაცვალე, მე შენს ადგილზე ასე თავისუფლად ეთერში კეკლუცს ვერ შევძლებდი... შემრცხვებოდა, ჩემი ოჯახის წევრს რომ მსგავსი რამეები ჰქონდეს ჩადენილი და გამიჭირდებოდა საზოგადოებაში გამოჩენა. მით უფრო – ასეთი ტიპის დამრიგებლური ტონით საუბარი! მერე, ეს „ეშმაკის ბორბალი“ მაინცდამაინც თქვენთვის სასურველ პოზიციაში უნდა გაჩერდეს? მთელი 10 წელიწადი ხალხს რომ „აჩმორებდნენ“ და ცხოვრებას უნგრევდნენ ადამიანებს, მაშინ ვერ გრძნობდი „ეშმაკის ბორბლის“ ტრიალს? რატომ ერთხელ მაინც არ გააკეთე საჯარო დამრიგებლური განცხადება? ან თუნდაც საკუთარ ოჯახში ვინმეს შინაურულად მაინც არიგებდი, ასე არ შეიძლება და ეს ჩვენი შვილებისთვის ცუდიაო? პირიქით, იმ პერიოდში შენი ამაყი განცხადებები მახსოვს – „მე ვამაყობ, რომ ერეკლე კოდუას ცოლი ვარო!“ რაზეც მუდამ მახსენდებოდა გლეხის ქალის, ბეჩუნია პერტიას სიტყვები – „ნიკანდრო ქირია! შენისთანა ღორისშვილის ცოლობას დათა თუთაშხიას საყვარლობა რომ სჯობია, თუ იცი ეს შენ?!“ მაგრამ არ იცით ეს, ეტყობა, არც შენ და არც სხვა „ნიკადრო ქირიების“ ცოლებმა და იმიტომაც ხართ „ნიკანდრო ქირიების“ ეგზომ „ამაყი“ ცოლები. არა, გიცნობ პირადად და საკმაოდ ახლოსაც. არ მაქვს შენ მიმართ ანტიპატია და ეს შენც იცი. ამიტომ დიდხანს ვერიდებოდი შენთან ამ ენით საუბარს, მაგრამ დღევანდელმა შენმა დამრიგებლურმა ტონმა მართლა ყველა მოთმენის რესურსი ამოწურა. 2005 წლიდანვე ვაფრთხილებდი ბევრ ბობოლა „ნაციონალს“ (მანამდე ბევრი წელი მათ პირადად ვიცნობდი) – ასეთი მეთოდებით მართვა არ შეიძლება, მაქსიმუმ 10 წელში, ამით ძალიან ნოყიერ ნიადაგს შექმნით ათასი ჯურის ავანტიურისტისთვის და ბევრი ნაძირალა ამით ისარგებლებს და თავს გმირად გამოაცხადებს-მეთქი! ასეც მოხდა. ახლა მაინც დაიჯერეთ რამე! სწორედაც, „ნიკანდრო ქირიობა“ და მაგ გზით „წარმატებულობა“ რომ არ ვიკადრე მე, შესაძლოა, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი თუნდაც ჩემი ანგრეული პირადი ცხოვრებისა, კარიერაზე რომ არაფერი ვთქვა. არავის ვსაყვედურობ – ყველა ვერ უძლებს და არ შეუძლია მოგყვეს იმაში, რომ მატერიალურად წარმოუდგენელი გაჭირვების პირობებშიც კი, ღირსება შეინარჩუნო. ვერც მოთხოვ... და ვარ ახლა ასე, როგორც ვარ, მაგრამ მართლა ძალიან ამაყი! ალბათ, არ შეგიძლიათ ამის გაგება არც შენ, არც ვანო ჯავახიშვილს და სხვა მისნაირებს, რომლებიც ჩემნაირ ადამიანებს ცინიკურად „უსამსახურო ამაყებს“ ეძახიან...

„ეშმაკის ბორბალს“ რაც შეეხება – იცით, რას გეტყვით? თუ თქვენ რეალურად გსურთ „ეშმაკის ბორბლის“ გაჩერება, ადექით და პროკურატურაში ამ ნაგვების საქმეებს კი ნუ აწყობთ და წარსულში ჩადენილ ნაგვობებს ახალ ნაგვობას კი ნუ უმატებთ, არამედ ნებაყოფლობით დაუბრუნეთ ამ თქვენგან ცხოვრებადანგრეულ ადამიანებს წართმეული! ბოდიში მოუხადეთ საჯაროდ ყველა თქვენგანმა უსამართლოდ დაჩაგრულსა და ღირსებაშელახულს! აი, მაშინ გაჩერდება „ეშმაკის ბორბალი“! თქვენ „ეშმაკის ბორბლის“ გაჩერება გსურთ, ოღონდ ისე, რომ თავისუფლად, დისკომფორტის გარეშე გააგრძელოთ სხვისი დაღუპვის ხარჯზე ნაშოვნი ქონებითა და ფულით „გულაობა“? პლუს ამას, გინდათ ისე გაჩერდეს „ეშმაკის ბორბალი“ რომ ბოდიშიც კი არ მოიხადოთ? ჩადით მაგ ბორბლიდან ეშმაკები და მხოლოდ მაშინ გაჩერდება! ჩადით, თუ ოდნავ მაინც შეგრჩენიათ ნამუსი!

მართლა ალალად კეთილი სურვილებით ბაკურ სვანიძე“, – წერს ბაკურ სვანიძე. (რეპორტიორი)

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. უდაბნო აფრიკაში
2. ლი ფილმში „ლედი ...“
3. მსახიობი ... დელონი
4. მსახიობის საგრიმიორო, ანუ ...
5. თამაში კიით
6. არეკლილი გამოსხივება
7. არქიმედეს მშობლ. ქალაქი
8. მოტორიანი ნავი
9. ზღვის ძუძუმწოვარი
10. პორტუგალიის დედაქალაქი
11. ვინი პუჰის ავტორი
12. მზევრავი ქალი ... ჰარი
13. ავტორბოლა
14. ინის საპირისპირო
15. აკვნის შარდსადენი
16. მეფის კარისკაცი
17. ნამცხვარი
18. ზღაპრული ფრინველი
19. მისი დედაქალაქია თეირანი
20. ჰუნების ბელადი
21. ხორბლის გამონაცერი
22. დუმბაძე. „თეთრი ...“
23. ევერესტი, ანუ ...
24. მომღერალი ჯასტინ ...
25. პოეზიის სიმბოლო
26. კედლის შანდალი
27. მსახიობი ალისა ...
28. მადაგასკარის დედაქალაქი
29. ყავისფერი პიგმენტი
30. გიტარისტი ... ჰენდრიქსი
31. მომღერალი ... მარლი
32. ... კარდენი
33. ბავშვის კბილი
34. დეკორატიული ყვავილი
35. დარტყმით ამობერცული ადგილი
36. ტყე მდინარის პირას
37. პათოსით წარმოთქმული სიტყვა
38. რეაქტიული საფრენი აპარატი
39. შოლოხოვი. „წყნარი ...“
40. მსახიობი ... გიბსონი
41. ფასიანი ქაღალდი
42. მხ/ფ „... მზე“
43. ანტიბიოტიკური ნივთიერება
44. ცხელი ნაკვერჩხალი
45. მხარე იმერეთში
46. მსახიობი ... ჭიჭინაძე
47. ცხრანახშირბადიანი ნაერთი
48. გამასხურდიას მოთხრობა
49. ბუდისტური სალოცავი
50. მსახიობი ჯემალ ...
51. ფრინველი ეგვიპტურ მითებში
52. რადიოლოკატორი
53. სურდო
54. წვრილი სისხლძარღვი
55. მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარი
56. სახელმწიფო ევროპაში
57. მსახ. ... ჭანკვეტაძე
58. თამაში ...-პონგი
59. ტაილანდის ძველი სახელწოდება
60. ლატვიის ფულის ერთეული
61. იაპონური ხალათი
62. ერთნახადი არაყი
63. მეჭეჭების მოსაწვავი სითხე
64. თურქეთის დედაქალაქი
65. აივენჰოს სატრფო
66. „ნატვრის ხე“ თაყაიშვილი
67. შებოლილი ხორცი
68. ქალაქი კახეთში
69. სანელებელი
70. ერთკუზიანი აქლემი
71. წინაღობის ერთეული
72. ტყის ფრინველი
73. იაზონის გემი
74. დიეგო არმანდო ...
75. სახსარი ტერფთან
76. „... დე ბერჟერაკი“
77. სახელმწიფოსთან ვაჭრობის აკრძალვა
78. მსახიობი ... გოლდბერგი
79. სოფელი რაჭაში
80. ჩანთოსანი დათვი
81. მორბენალი ფრინველი
82. კომპოზიტორი ... რაველი
83. იაპონური თაიგული
84. სტადიონი რიოში
85. მერცხლის ხმიანობა
86. ვაჭრობის თეორია
87. სპოროვანი მცენარე
88. უფრთო ფრინველი
89. კომუნისტის მოწმობა
90. საკანი
91. ... მორჩილაძე
92. მახრჩობელა გველი
93. მდინარე აფხაზეთში
94. მსახიობი ... მიურეი
95. საერთო ევროპული ვალუტა
96. ჩელენტანო ფილმში
97. ქალთა უფლებების დამცველი
98. ამერიკელი მომღერალი ქალი
99. რძის პროდუქტი
100. მეტყველების ორგანო
101. მომღერალი ... ბადურაშვილი
102. ბრედ პიტი ფილმში
103. „რა? სად? როდის?“ წამყვანი
104. კომპოზიტორი ... პაულსი
105. ჟურნალისტი ... გრიგოლია
106. ქალაქი სომხეთში
107. დროშა
108. მსახიობი ანუკ ...
109. არქიმედეს შეძახილი
110. მსახიობი ... მერფი
111. მოგზაური ...-მალკაი
112. ქალაქი რუსეთში
113. მსახიობი ... პაჩინო
114. კრატერიდან გადმოსული მასა
115. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
116. მსახიობი ჯეინ ...
117. შეთანხმება ომის დასრულებაზე
118. მხ/ფ „პირველი მერცხალი“ პერსონაჟი
119. ფული ზოგადად
120. ყმაწვილი ცვილის ფრთებით
121. სასროლეთი
122. კუნძული ინდონეზიაში
123. მწვანილების შეკვრა
124. სამკურნალო მცენარე
125. კოსმეტიკა სახეზე
126. ავტომობილის კორპუსი
127. საოპერო პარტია
128. მიხეილ ჯავახიშვილი. „ჯაყოს ...“
129. მსახიობი ოსვალდო ...
130. თაღი
131. ჯუჯა სამეფო ევროპაში
132. რეპტილია
133. ოცკაპიკიანი ძველად
134. რეჟისორი ალფონსო ...
135. ჯიქანი
136. რეჟისორი ... ჰოვარდი
137. მსახიობი ... ნოლტი
138. მხატვრული ჭრა ხეზე
139. საკონდიტრო სანელებელი
140. კომპოზიტორი იმრე ...
141. მსახიობი ... ფაროუ
142. მობილურების ფირმა
143. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
144. ერთ-ერთი მუშკეტერი

პასუხები: 1. კალაჰარი; 2. ჰამილტონი; 3. ალენ; 4. საპირფარეშო; 5. ბილიარდი; 6. ანარეკლი; 7. სირაკუზა; 8. კატერი; 9. ლომვეშაპი; 10. ლისაბონი; 11. მილნი; 12. მატა; 13. რალი; 14. იანი; 15. შიბაქი; 16. ეჯიბი; 17. ეკლერი; 18. ფასკუნჯი; 19. ირანი; 20. ატილა; 21. ქატო; 22. ბაირაღები; 23. ჯომოლუნგმა; 24. ტიმბერლეიკი; 25. ლირა; 26. ბრა; 27. ფრეინდლიხი; 28. ანტანანარივუ; 29. მელანინი; 30. ჯიმი; 31. ბობ; 32. პიერ; 33. კიჭი; 34. ოლეანდრი; 35. კოპი; 36. ჭალა; 37. ტირადა; 38. რაკეტა; 39. დონი; 40. მელ; 41. ობლიგაცია; 42. უძინართა; 43. პენიცილინი; 44. ღადარი; 45. ოკრიბა; 46. დოდო; 47. ნონანი; 48. „ლილ“; 49. დაცანი; 50. ღაღანიძე; 51. იბისი; 52. რადარი; 53. რინიტი; 54. კაპილარი; 55. ილუმენი; 56. ნიდერლანდი; 57. ნინელი; 58. პინგ; 59. სიამი; 60. ლატი; 61. კიმონო; 62. რახი; 63. ლაპისი; 64. ანკარა; 65. როენა; 66. მარადია; 67. ლორი; 68. ყვარელი; 69. მარილი; 70. დრომადერი; 71. ომი; 72. ყვავი; 73. „არგო“; 74. მარადონა; 75. კოჭი; 76. სირანო; 77. ემბარგო; 78. ვუპი; 79. ირი; 80. კოალა; 81. სირაქლემა; 82. მორის; 83. იკებანა; 84. მარაკანა; 85. ჭიკჭიკი; 86. მარკეტინგი; 87. სოკო; 88. კივი; 89. მანდატი; 90. დილეგი; 91. აკა; 92. ბოა; 93. ენგური; 94. ბილ; 95. ევრო; 96. „ბლეფი“; 97. ფემინისტი; 98. მადონა; 99. დო; 100. ენა; 101. ნინი; 109. „ტროა“; 103. მოსიძე; 104. რაიმონდ; 105. ინგა; 106. აბოვიანი; 107. ალამი; 108. ემე; 109. ევრიკა; 110. ედი; 111. მიკლუხო; 112. რიაზანი; 113. ალ; 114. ლავა; 115. ორანგუტანგი; 116. ბირკინი; 117. ზავი; 118. იასონი; 119. ვალუტა; 120. იკაროსი; 121. ტირი; 122. იავა; 123. კონა; 124. ასკილი; 125. მაკიაჟი; 126. ძარა; 127. არია; 128. ხიზნები; 129. რიოსი; 130. არკა; 131. ანდორა; 132. კუ; 133. აბაზი; 134. არაუ; 135. ცური; 136. რონ; 137. ნიკ; 138. ინკრუსტაცია; 139. ვანილი; 140. კალმანი; 141. მია; 142. „ნოკია“; 143. სინუსი; 144. არამისი. იკითხება: ჰოლი ბერი.

## შექმნილია მოლაპარაკე სექს-რობოტი



რეზინის სექს-თოჯინები თუ არსებობს, ვითომ რკინის სექს-რობოტებმა რაღა დააშავეს? მით უმეტეს, რომ უცნაური სექსუალური ფანტაზიების მქონე ადამიანების რიცხვი საკმარისზე მეტია.

ჰოდა, შექმნილია კიდეც მორიგი სექს-რობოტი, რომელიც კომპანია „ლავ სექს კომპანიმ“ გასულ დღეებში გამართულ უკანასკნელი მიღწევების გამოფენაზე წარადგინა.

შეგახსენებთ, რომ სექს-რობოტი აქამდეც შექმნილა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მას ლაპარაკის ფუნქცია არ აქვს. რაც შეეხება ახალ რობოტს, შეუძლია პარტნიორის ამოცნობა და მასთან საუბრის გაბმა.

ესმის თუ არა ეკონომიკა ან გლობალიზაციის პრობლემები ახალი თაობის სექს-რობოტს, არ ვიცით, მაგრამ პირდაპირ დანიშნულებას თურმე შესანიშნავად ასრულებს.

კომპანიის დირექტორი განმარტავს, რომ რობოტი მინიმუმ 6 ათასი აშშ დოლარი ეღირება და იმათთვის იქნება განსაზღვრული, ვინც დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო „ორთქლის გამოშვებას“ ქალებთან ვერ ასწრებს.

*etotupo.ru*

## ჩემოდანი პატრონს თავისით მოძებნის



მართალია, არც ყურშა მოუხდება სახელად და არც ბათურა, რადგან ასე ძაღლებს ეძახიან ხოლმე, მაგრამ სწორედ ამ ცხოველივით შეუძლია საკუთარი პატრონის ამოცნობა უამრავ ადამიანში.

რაც არ უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, საუბარია ჩემოდანზე, უფრო სწორად, რობოტ ჩემოდანზე, რომელმაც ესპანეთში გამართულ გამომგონებელთა კონკურსში ერთ-ერთი მთავარი პრიზი დაიმსახურა.

ჭკვიან ჩემოდანს შეუძლია, თავისით გაჰყვეს პატრონს, სანამ ის მოგზაურობას არ დაასრულებს.

ასეთი შესანიშნავი შესაძლებლობა ჩემოდანმა მასში ჩამონტაჟებულ ბლუთუზ-მიმღებით შეიძინა, რომელიც მუდმივად მომხმარებლის სმარტფონთანაა დაკავშირებული.

სწორედ ასეთი მოწყობილობის დახმარებით შეუძლია ჩემოდანს, პატრონი თუნდაც, მილიონ ადამიანს შორის ამოიცნოს და მასთან მიგორდეს კიდეც.

იმ შემთხვევაში, თუკი უსადენო კავშირი ტელეფონსა და ჩემოდანს შორის დაირღვევა, ეს უკანასკნელი ადგილზევე ჩერდება, ბლოკავს ყველა გასაღებს, რა დროსაც ტელეფონი ვიბრირებას იწყებს.

ჯერჯერობით ჭკვიანი ჩემოდნის სერიულ წარმოებაში გაშვების შესახებ არავინ არაფერს ამბობს, თუმცა მისი უნიკალურობიდან გამომდინარე, ალბათ, ესეც მალე მოხდება.

*wordscience.ru*

## ამერიკამ საბრძოლო მფრინავი თეფშის ნახაზები გამოაქვეყნა



პირველად მრავალი წლის მანძილზე, ამერიკის ეროვნული არქივის სამმართველომ საბრძოლო მფრინავი თეფშის ნახაზები გამოაქვეყნა. აპარატს სახელად „პროექტი 1794“ აქვს მიღებული და მასზე ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალებში გასული საუკუნის 50-იანი წლებში მუშაობდნენ.

საინტერესოა, რომ საბრძოლო მფრინავი თეფშის შექმნის დავალება კანადურ კომპანიას ჰქონდა მიცემული.

ცნობილია ისიც, რომ დისკის ფორმების მქონე საფრენი აპარატი განსაზღვრული იყო ვერტიკალურ აფრენა-დაშვებაზე. მისი მაქსიმალური სიჩქარე 4 ათას კილომეტრ/საათზე მეტი უნდა ყოფილიყო. ფრენის მაქსიმალური სიმაღლე 30 კილომეტრზე მეტი, მაქსიმალური მანძილი კი – დაახლოებით 1,8 ათასი კილომეტრი.

დღევანდელი ფასებით, პროექტის ღირებულება დაახლოებით 27 მილიონი აშშ დოლარი იყო და წინასწარი გათვლებით, სამუშაო 2 წელიწადში უნდა დასრულებულიყო.

საბოლოო ჯამში, პროექტის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა, თუმცა რატომ, ამის მიზეზები აღარ ზუსტდება. სხვადასხვა მონაცემით, სპეციალისტებმა ვერ შეძლეს ისეთი აპარატის შექმნა, რომელიც საჭირო სიმაღლემდე ავიდოდა.

პენტაგონისთვის მფრინავი თეფშის შექმნაზე „ავრო აირკრაფტი“ მუშაობდა. კანადელებმა ამერიკელებს ორი ასეთი აპარატი აუგეს.

*top.rbc.ru*

## ვინ უნდა იყოს საწოლში მთავარი?



ასე ამბობენ, ოჯახში ფინანსებს ქალი უნდა განკარგავდეს, გაცილებით პრაქტიკული და წინდახედულია და იმიტომო... ვერ გეტყვით, რამდენად მართალია ეს ამბავი, ყოველ შემთხვევაში, მეცნიერულად ეს ფაქტი არ დამტკიცებულა. სამაგიეროდ, სწავლულებმა ის დაადგინეს, რომ საწოლში სწორედ ქალი უნდა დომინირებდეს, რადგან ამას ბევრად დადებითი შედეგები მოსდევსო. ერთი კია, მშვენიერი სქესის დომინანტობა მხოლოდ 29 წლის ასაკამდე ყოფილა გადასარევ-გადმოსარევი.

იელის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ 29 წლამდე ქალს შეუძლია დატკბეს იმით, რომ ინიციატივას საკუთარ ხელში იღებს. ეს ზრდის მის თვითშეფასებას, ძლიერი სქესის წარმომადგენელი კი ამაყობს თავისი პარტნიორით.

30-წლიანი ზღურბლის გადაბიჯების შემდეგ, თურმე, ქალი სხვანაირად უნდა მოიქცეს. ყოველ შემთხვევაში, პარტნიორი მისგან სწორედ ამას მოელის. სანდო და ძლიერი მამაკაცის შეხვედრის შემთხვევაში, ქალი მთლიანად მის ხელში გადადის და ჩვეულებრივ, მამაკაცის სურვილების შესრულებას ცდილობს, მათ შორის, სექსშიც.

აღნიშნული დასკვნები იელის უნივერსიტეტში მას შემდეგ გამოიტანეს, რაც ორივე სქესის 500-მდე წარმომადგენლის მონაცემები შეისწავლეს.

თუკი ვინმე სხვანაირად ფიქრობს, შეუძლია გააპროტესტოს, ჩვენ ნამდვილად არ გვეწყინება...

*myjane.ru*

## მეცნიერებმა დაადგინეს, რა აიძულებს მამაკაცს სიმართლის თქმას



ზოგჯერ თქმით კი დაშავდებაო, ასე ამბობენ, მაგრამ უმრავლესობა მაინც იმ აზრზეა, რომ ტყუილს ისევ მწარე სიმართლე სჯობს. მოკლედ, ეს სადავო საკითხია და კამათს და დავიდარაბას, გვირჩევნია, მეცნიერების მიერ აღმოჩენილ სიახლეზე მოგიყვეთ.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მამაკაცების მიდრეკილება, იცრუოს თუ სიმართლე ილაპარაკოს, პირდაპირ კავშირშია ჰორმონ ტესტოსტერონის დონესთან.

დასკვნის ავტორები ბონის უნივერსიტეტის სპეციალისტები არიან.

უნდა ითქვას, რომ ტესტოსტერონი ხშირად ასოცირდება აგრესიასთან და ასოციალურ ქცევებთან. ამის პარალელურად, შესაძლებელი ყოფილა, რომ ჰორმონის მაღალმა დონემ მამაკაცს სიმართლე ათქმევინოს.

კვლევის ფარგლებში მეცნიერებმა ტესტოსტერონის დონე 46 მამაკაცს გაუზარდეს, რაც კანზე ჰორმონალური გელის წასმით შეძლეს. კიდევ 45 მამაკაცის შემთხვევაში მათ პლაცებო გამოიყენეს. შემდგომ ეტაპზე მამაკაცების ორივე ჯგუფს კომპიუტერში აზარტული თამაში ათამაშეს – რაც უფრო მეტ ქულას ჩადიოდნენ, მით მეტ ფულს იგებდნენ.

იმის გამო, რომ თითოეული რესპონდენტი ცალკე კაბინაში იჯდა, ვერავინ ხედავდა, ნამდვილ ქულებს აჩვენებდნენ, თუ მომატებულს.

საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, რომ ტესტოსტერონის მაღალი დონის მქონე მამაკაცები გაცილებით იშვიათად ან საერთოდ არ ცრუობდნენ.

ამ ფენომენის ახსნა ასეთია: ჰორმონი, სავარაუდოდ, სიამაყის გრძნობას ზრდის და მამაკაცი მიილტვის, საკუთარ თვალში საკუთარივე თავის პრესტიჟი აამაღლოს.

*wordscience.ru*

## „კრიტიკული დღეები“ წელიწადში მხოლოდ... სამჯერ?



ავსტრალიაში ახალი კონტრაცეპტივის გაყიდვები დაიწყო, რომელიც ქალებს საშუალებას მისცემს, „კრიტიკული დღეების“ რაოდენობა წელიწადში 3-მდე შემცირდეს.

როგორც ირკვევა, პრეპარატი „იაზ ფლექსი“ კომპანია „ბეიერისგან“ არა მხოლოდ კრიტიკული დღეების ხანგრძლივობას ამცირებს, არამედ სიგნალსაც იძლევა იმ შემთხვევაში, თუკი ქალი აბს არ დალევს.

სტატისტიკის თანახმად, „კრიტიკულ დღეებში“ სერიოზული ტკივილებისგან მშვენიერი სქესის როგორც მინიმუმ, ნახევარი მაინც იტანჯება, ხოლო შემთხვევათა 10 პროცენტში უსიამოვნო შეგრძნებები იმდენად სერიოზულია, რომ „მსხვერპლი“ მუშაობასაც კი ვერ ახერხებს.

რა ღირს ახლად შექმნილი პრეპარატი და როდის დაიწყება მისი გაყიდვები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, უცნობია.

*woman.ru*



– ალო, მე სახლის თაობაზე გირეკავთ...

– უკაცრავად, მაგრამ ეს სარაკეტო ბაზაა, სხვაგან მოხვდით!

– თქვე ახვრებო, სხვაგან თქვენ მოხვდით – 2-სართულიანი სახლი ამიფეთქეთ!!!

*****

გოგო ბიჭს ეკითხება:

– რას აკეთებ?

– მიყვარხარ, მენატრები, ძალიან მაკლიხარ. ყოველ ღამე სიზმარში განახულობ, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია! შენ რას აკეთებ?

– „სასისკსა“ ვჭამ...

*****

– როგორ მიდის საქმეები?

– ნორმალურად.

– ცოლ-შვილი როგორ გყავს?

– კარგად, კარგად, მადლობა!

– სამსახურში ხომ მშვიდობა გაქვს?

– კი, მივიწევთ წინ ნელნელა.

– მისმინე, 300 დოლარს მასესხებ?

– შენა და ზურგზე მაკოცებ?

– და ზურგზე რატომ?

– რა ვიცი, შენ შორიდან არ დაიწყე?..

*****



– დისკომფორტი არ გექმნება, ცაცია რომ ხარ?

– არა! საერთოდ, ყველა ადამიანს უცნაური თავისებურებები აქვს. აი, შენ, მაგალითად, ჩაის რომელი ხელით ურევ?

– მარჯვენათი.

– აი, ხომ ხედავ, ნორმალური ადამიანები კი ჩაის კოვზით ურევენ...

*****

საკონტროლო წერის დროს კოტე კლასელს მიუბრუნდა:

– ნახე, ჩვენს მასწავლებელს რა მაგარი საჯდომი აქვს!

მასწავლებელი:

– კოტე, ნუ ჩურჩულებ, თემომ ისედაც ყველაფერი კარგად იცის!..

*****

მესაზღვრეების ქვედანაყოფს უდაბნოში გზავნიან და ინსტრუქტაჟს უტარებენ:

– თუ გველი გიკბენთ, აუცილებელია ჭრილობიდან შხამის გამოწოვა.

– და თუ გველი პენისზე მიკბენს?

– ჰოდა, მაშინ გაიგებ ზუსტად, ვინ არის შენი ნამდვილი მეგობარი!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## პროზექტურის ექიმის გალახვა... მიცვალებულს დაჰბრალდა



როდის იყო, რომ მიცვალებულები ხალხს თავ-პირს ანგრევდნენ? რა ვიცით, ჩვენ პირადად გვეგონა, ასეთი რამ არ ხდებოდა, მაგრამ...

ეს უჩვეულო ინციდენტი რუმინეთის ერთ-ერთი ჰოსპიტალის მორგში მოხდა – მოვალეობის შესრულებისას ექიმმა სხეულის მძიმე დაზიანებები... „მიცვალებულისგან“ მიიღო.

შემთხვევა ქალაქ ბრაშოვში მოხდა – როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, საავადმყოფოში გარდაცვლილი პაციენტი მორგში გადაასვენეს, რათა იქ მისი გაკვეთა და სიკვდილის გამომწვევი მიზეზების დადგენა მომხდარიყო.

ის იყო, პროზექტურის თანამშრომელმა გარდაცვლილ პაციენტს ქირურგიული იარაღი შეახო და გაკვეთა დაიწყო, რომ უეცრად „მიცვალებული ადგა“ და ტკივილისგან გამწარებულმა ექიმს თავ-პირი გაუერთიანა.

ფიზიკური შეურაცხყოფისა და განცდილი შიშის გამო ექიმი „გვამს“ სასამართლოში უჩივის და მისგან ფულადი კომპენსაციის გადახდას მოითხოვს, თუმცა გამომძიებლები დაბნეულები არიან, რადგან პაციენტი ხომ უგონო მდგომარეობაში იყო და როცა ნახა, რომ მას „მოკვლას“ უპირებდნენ, თავის დაცვა სცადა.

თავს იმართლებს თავად სიკვდილის კლანჭებისგან განთავისუფლებული რუმინელიც და ექიმს ბოდიშებს უხდის, თუმცა ჯერჯერობით მისი გულის მოგება ვერაფრით მოახერხა.

*devahi.net*

## მეცნიერებმა დედამიწის ყველაზე ცხელი სუბსტანცია შექმნეს



ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის თანამშრომლებმა ყველაზე ცხელი და მკვრივი ნივთიერება შექმნეს, რომელიც ოდესმე დედამიწაზე არსებულა. თურმე, ეს სუბსტანცია მზის ცენტრის სიმხურვალეს 100 ათასჯერ აჭარბებს.

ექსპერიმენტის ფარგლებში, მეცნიერებმა ტყვიის მძიმე იონების შეჯახება მოახდინეს, რომელთა სიჩქარე სინათლისას არაფრით ჩამოუვარდებოდა. სწორედ ამ დროს დაფიქსირდა ნივთიერების წარმოქმნა, ტემპერატურით პლუს 1,6 ტრილიონი გრადუსი, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მზის ცენტრის სიმხურვალეს 100 ათასჯერ აღემატება.

მიღებული შედეგებით მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მოხერხდება სამყაროს ევოლუციის საიდუმლოს ამოხსნა და იმ პირობების შექმნა, რომელიც მაშინ არსებობდა. ანუ, მათი თქმით, სწორედ დაახლოებით ასეთი შეჯახების შედეგად გაჩნდა სამყარო.

– ნივთიერების მსგავსი მდგომარეობა დედამიწაზე არ გვხვდება და ის მხოლოდ ორი ნეიტრონული ვარსკვლავის შეჯახებით წარმოიქმნება, – განმარტავენ მიღწევის ავტორები.

სხვათა შორის, ერთ სასულიერო პირს აქვს დაახლოებით ასეთი რამ ნათქვამი: იმის დაჯერება, რომ სამყარო ვარსკვლავების აფეთქების შედეგად წარმოიქმნა, იმას ნიშნავს, რომ დავიჯეროთ, სტამბის აფეთქებას განმარტებითი ლექსიკონის გაჩენა მოჰყვებაო...

*globalscience.ru*

**ვაკანსიები!!!**

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. ხელფასი 800 ლარი დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთი ალია
**სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს**
ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**8 მაისი:** დღეს შეიძლება მოხდეს რაღაცა, რასაც არანაირად არ ელოდით. შეეცადეთ, დღევანდელი გეგმები ისე ააწყოთ, რომ მათი შეცვლა არ გაგიჭირდეთ.

**კურო 22.04-21.05**
**8 მაისი:** შეეცადეთ, ჩვეულებრივზე უფრო მეტად პრაქტიკული იყოთ. ყველაზე მცირე კაპრიზიც კი შეიძლება არცთუ სასიამოვნო შედეგად მოგიბრუნდეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**8 მაისი:** თუ ყურადღების ცენტრში ყოფნა გსურთ, ამისთვის საკმაო ძალისხმევა დაგჭირდებათ. დღეს თითქოს, შეგნებულად არ შეგამჩნევენ და არც თქვენს აზრს გაითვალისწინებენ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**8 მაისი:** სავალდებულო არ არის, ისე იმოქმედოთ, რომ თქვენ მიმართ არსებული ვიღაცის აზრი გაამართლოთ. იმოქმედეთ ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლით.

**ლომი 23.07-22.08**
**8 მაისი:** დღეს ძალიან ბევრი საუბარი მოგიწევთ. ამიტომ, თუ არ გინდათ, რომ ამ საუბრების მნიშვნელოვანი მომენტები საღამომდე არ დაგავიწყდეთ, ბევრი რამის ფურცელზე მონიშვნა მოგიწევთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**8 მაისი:** დღეს რეალური არჩევანის გაკეთების საშუალება მოგეცემათ. მთავარია, ყველაფერი კარგად გაიაზროთ და არაფერი შეგეშალოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**8 მაისი:** გარშემომყოფებთან ურთიერთობაში წინდახედულება გმართებთ. ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. მოკლედ, შეეცადეთ, თქვენი უპირატესობის დემონსტრირებისგან თავი შეიკავოთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**8 მაისი:** კარგი დღეა მნიშვნელოვანი მოლაპარაკებებისთვის. საკმაოდ მჭევრმეტყველი და უჩვეულოდ დამაჯერებელი იქნებით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**8 მაისი:** დღეს, სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ შეიგრძნობთ, რომ მუშაობაში ბევრ დროს ხარჯავთ და დასვენებას ვერ ახერხებთ. რას იზამთ, შეეცადეთ, მუშაობიდან სიამოვნების მიღება ისწავლოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**8 მაისი:** დღეს მოხდება გარკვეული მოვლენები, რომლებზეც არასტანდარტული რეაქციები გექნებათ. შეეცადეთ, ყველაფერი დინჯად შეაფასოთ, რომ დასაცინი არ გახდეთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**8 მაისი:** შეიძლება ძვირადღირებული დღე აღმოჩნდეს. გამოუვალი მდგომარეობიდან მეგობრის დროული დახმარება გიხსნით. ასე რომ, კარგი იქნება, თუკი მას წინასწარ შეიპირებთ.

**თევზები 19.02-20.03**
**8 მაისი:** საკმაოდ იმუშავეთ საიმისოდ, რომ წელში დღესაც არ გაწყდეთ. თუ სრულყოფილად მოდუნების საშუალება არ გაქვთ, მუშაობის ტემპი მაინც შეამცირეთ.

## ალუბალი ნიკრისის ქარის შეტევებს ბლოკავს



ნიკრისის ქარი, ანუ ე.წ. პოდაგრა, საკმაოდ ბევრ ადამიანს უმწარებს სიცოცხლეს. აქედან გამომდინარე, მათთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს სიახლე, რომელიც ბოსტონის უნივერსიტეტის სპეციალისტებს აქვთ.

ამერიკელი ექსპერტების მტკიცებით, ყოველდღიურ რაციონში ალუბლის დამატება ნიკრისის ქარის შეტევების ალბათობას მთელი 75 პროცენტით ამცირებს. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, თუკი, ალუბალთან ერთად, პაციენტი ისეთ პრეპარატებსაც მიიღებს, რომელიც შარდის მჟავის დონეს ამცირებს.

შეგახსენებთ, რომ ნიკრისის ქარის მიზეზი ქსოვილებში სწორედ შარდის მჟავის გავრცელებაა. უსიამოვნებას თან ახლავს ძალიან ძლიერი ტკივილები სახსრებში.

ალუბლის ერთ-ერთი სასარგებლო თვისებაა, შესაძლებლობა, შეამციროს შარდის მჟავის გამომუშავება. გარდა ამისა, ალუბალი ცნობილია, როგორც ანთების საწინააღმდეგო შესანიშნავი საშუალება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა 633-მა მოხალისემ მიიღო, რომელთა საშუალო ასაკი 54 წელი გახლდათ. სპეციალისტებით მითითებით, მათ დღეში ალუბლის 10-12 ნაყოფი უნდა შეეჭამათ.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ეფექტური აღმოჩნდა როგორც ახლად მოკრეფილი ალუბალი, ისე მისი ექსტრაქტი.

და კიდევ ერთი – ნიკრისის ქარის შეტევის ალბათობა კიდევ უფრო მნიშვნელოვნად მცირდებოდა, როცა მოხალისეები მას დღეში 3-ჯერ ჭამდნენ.

*myjane.ru*

## ძაღლი მთელი ღამე მიტოვებულ ჩვილს ყარაულობდა



კიდევ ერთხელ გაგვიჩნდა მიზეზი, რომ ვიკითხოთ: დედამიწაზე მართლა ადამიანია ყველაზე გონიერი არსება? რაღაც, ეჭვი გვეპარება!

მთელი ღამის მანძილზე ძაღლი არ მოშორებია 3 თვის ჩვილს, რომელიც ქალაქ სარატოვის ერთ-ერთ პარკში დედას... დაავიწყდა.

როგორც აღმოჩნდა, 22 წლის ოლგა ვ.-ს პარკში სეირნობისას მეგობრები შეხვდნენ და ლუდის სმა დაიწყეს. ღრეობა გვიანობამდე გაგრძელდა და დედა სახლში ისე წავიდა, შვილი არც კი გახსენებია.

საბედნიეროდ, ამ ტუტუცი ქალის ძაღლი აღმოჩნდა ძალიან ყურადღებიანი და საცოდავ პატარას გვერდიდან არ მოშორდა.

ის, რომ შვილი დაკარგა, დედა მხოლოდ დილით მიხვდა, როცა გამოფხიზლდა და მაშინვე განგაში ატეხა.

უნდა დაისაჯოს თუ არა დედა ამ გაუგონარი საქციელისთვის, ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. პატარაზე კი დროებით ბებია-ბაბუა იზრუნებს.

*vesti.ru*



სამედიცინო ინსტიტუტში გამოცდაა. აუდიტორიიდან განერვიულებული სტუდენტი გამოვიდა. ჯგუფელები გარს შემოეხვივნენ:
– რა ქენი, ჩააბარე?
– ვერა.
– რატომ?
– რა ვიცი, რაღაც სულელური შეკითხვა დამისვა და...
– რა გკითხა ასეთი?
– „რა უნდა გქონდეს, ოყნა რომ გაიკეთო?“
– მერე რა უპასუხე?
– რა ვუპასუხე და – ტრაკი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**
» 211359457
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭავაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 05.10